# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 1 აპრილი 1997 №36 (401) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

162 IV-VI

# 7:0





ახალი თბილისური ანეკდოტი

— გაიგე, სომხებს ჩვენთან თავის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით წაუგიათ.

— მაგათი ამბავი რომ ვიცი, მომდევნო თამაშს სპეციალურად 0:8-ს წააგებენ, რომ რეკორდული მარცხი მაინცდამაინც ჩვენთან არ ჰქონდეთ.

## გადავრჩით!!!

ეს ყველაფერი კარგი — ნაკრების ისტორიაში სარეკორდო ანგარიშით მოვიგეთ და საუემბლოდ ჩინებული განწყობაც შევიქმენით, მაგრამ ვიღაც უგონოს გამო იმ დღეს სიკვდილს თუ არა, დასახიჩრებას რომ ნაღდად გადავურჩით, ესაც ფაქტია.

...ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახური თამაშამდე ისე იმუქრებოდა, სტადიონზე უბილეთოდ ჩიტიც ვერ შეფრინდებაო, რეალური ვითარების მეტ-ნაკლებად მცოდნე კაცს გაგეცინებოდა — ახლა კი არა, კომუნისტურ დროშიც არ იყო ძნელი საქმე კონტროლიორისთვის (მილიციელისთვის) მანეთი (3, 5 ანაც თუმანი — გააჩნია თამაშს) მიგეცა და სტადიონზე უპრობლემოდ შესულიყავი. ვიფიქრეთ, ალბათ რაღაც საგანგებოს ილონებენო, მაგრამ ის, რაც მავანმა კვირას მოიფიქრა, ჰიჩკოკს გაუჭირდებოდა — თამაშის დაწყებამდე 20 წუთით ადრე 80-ათასიანი ეროვნული სტადიონის მხოლოდ ერთი (!) კარი იყო ღია და ისიც სანახევროდ (?!). ხალხი ლამის მესამე „საპატიო“ წრეს უვლიდა სტადიონს შესაძრომის (უბილეთოები) და ღია კარის (ბილეთიანები) ძებნაში, მესერს იქით მშვიდად მდგომი წესრიგის დამცველები (რამდენიმე სახის) კი ამ დროს ვილაცის განკარგულებას ელოდნენ. მოსახდენი მოხდა — ხალხის მასამ გაარღვია „ჯებირი“ და...

არ ვიცი, რას უნდა ვუმადლოდეთ, დღემდე ჩვენს სტადიონზე დიდი უბედურება რომ არ მომხდარა — შეფილდის „ჰილსბოროს“ სტადიონმა „ლივერპულის“ მხოლოდ უბილეთო ქომაგთა მოზღვავებას ვერ გაუძლო და, მიუხედავად იმისა, რომ ყველა კარი ღია იყო და პოლიციამ ყველა ღონეს მიმართა, ტრაგედიამ ათეულობით სიცოცხლე შეიწირა. სხვათა შორის, ეს 1989 წელს მოხდა: 9 აპრილის მერე ერთ კვირაში.

...ბოლო „შტურმი“ მაშინღა განხორციელდა, როცა ტრიბუნაზე მსხდომი მუსიკოსები ჰიმნებს ასრულებდნენ — ხალხი იმ შემოსასვლელიდან შემოვარდა, მხოლოდ სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანებისთვის რომაა განკუთვნილი.

ერთი სიტყვით, ღვთის მადლით, ვილაცათა „საგანგებო ზომებს“ მსხვერპლი არ მოჰყოლია და ეს მხოლოდ და მხოლოდ თავად გულშემატკივრების ორგანიზებულობის წყალობით.

ჰოდა, აბა, ამასთან რა მოსატანია ის „სერვისი“, იმ დღეს სტადიონზე რომ შემოგვთავაზეს. თუნდაც ის, რომ შეცვლაზე შესულთა ვინაობა (რატომღაც მხოლოდ ქართველების — სომხებისას, ომახიანი ხმით, ჯერ შეცვლილი მოედნიდან გასული არ იყო, იქვე გვატყობინებდნენ) ან დიდხანს, ანაც საერთოდ უცნობი რჩებოდა. მაგალითისთვის: ის, რომ გოგიჩაიშვილმა მთელი მეორე ტაიმი ითამაშა, არავის უთქვამს, ყაველაშვილის არსებობა კი მხოლოდ მატჩის ბოლოს გაახსენდათ. სამაგიეროდ, თბილისში ახალი ბაზრობის გახსნა გვამცნეს...

დამაგვირგვინებელი სიურპრიზი კი მხოლოდ ჩვენ, ჟურნალისტებს მოგვიმზადა სფფ-ს შესაბამისმა სამსახურმა. მატჩისშემდგომი პრეს-კონფერენციებისთვის განკუთვნილ დარბაზში 50-მდე კაცი ნახევარი საათი ელოდა ორ მწვრთნელს, მაგრამ ამათ ნაცვლად ვილაცის გამოგზავნილი შიკრიკი შეგვრჩა ხელთ — პრეს-კონფერენცია სხვაგან მოეწყო და აქ უსაქმოდ რაღას სხედხართო...

მოკლედ, ამ ყველაფერმა ერთი რამ მაფიქრებინა — ეგებ იმ იტალიელებს, სტადიონის გარემონტების უფლება რომ ვაღირსეთ, სტადიონზე შეშვების, ინფორმაციის გამოცხადების, პრეს-კონფერენციების მოწყობის და სხვა ყველაფრის ორგანიზებაც ვთხოვოთ. ღმერთმანი, არ ვხუმრობ.

**ზურაბ მქედლია**



# ფრთხილად ინგლისო, ყიფიანი მოდის!

## ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ინგლისში წასვლამდე სენსაციური დებიუტი მოიწყო



ჩვენები ერთმანეთის მილოცვას ვერ აუდიოდნენ, სომეხთა მეკარე კი ბურთის კარიდან გამოტანას

**ამხანაგური მატჩი**

თბილისი, ეროვნული სტადიონი, 30 მარტი

## საქართველო 7:0 სომხეთი

1. ზოიძე
3. ცხადაძე
2. ლობჟანიძე 5. ჩიხრაძე
4. შელია

7. ნემსაძე
9. ქეცბაია 8. ჯამარაული 6. კობიაშვილი
10. ქინქლაძე
11. შ. არველაძე

10. ასადურიანი
11. ა. ავეტისიანი 9. მხითარიანი 8. ტერ-პეტროსიანი
7. პეტროსიანი 4. ოვსეპიანი
6. ვარდანიანი
3. ვ. ხაჩატრიანი 2. სუქიასიანი
5. ტერ-ზაქარიანი
1. ავაქიანი

შეცვლა: ტერ-ზაქარიანი — 16. ტუნოიანი (46), ჩიხრაძე — 16. გოგიჩაიშვილი (46), ჯამარაული — 18. ყაველაშვილი (46), ზოიძე — 12. ტოგონიძე (55), ვარდანიანი — 18. მანუკიანი (57), ტერ-პეტროსიანი — 14. ჭაიანი (57), ქეცბაია — 14. ა. არველაძე (57), შელია — 15. შეყილაძე (61), ქინქლაძე — 13. გახოკიძე (61), პეტროსიანი — 13. რ. ხაჩატრიანი (61), ვ. ხაჩატრიანი — 17. სპეიანი (65)

1:0 შ. არველაძე (12), 2:0 ქინქლაძე (45 3), 3:0 შ. არველაძე (53), 4:0, 5:0 ა. არველაძე (58, 60), 6:0 შ. არველაძე (67), 7:0 ყაველაშვილი (81)

გაფრთხილება: ტერ-ზაქარიანი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

# სომხებმა გუნება გამოგვიკეთეს

### გოლების სტენოგრამა

12. ქინქლაძემ ვარდანიანი რომ მოატყუა, ბურთი საჯარიმოს ცენტრში შოთა არველაძეს შეუგდო, მანაც მეკარეს გვერდი აუარა და ანგარიში გახსნა.

45. ქეცბაია უსწრაფესად შეიჭრა საჯარიმოში. ცენტრიდან წაღებული ბურთი ჯერ ფეხით, შემდეგ თავით თავზევე გადაუგდო ორ სომეხ ფეხბურთელს და ტერ-ზაქარიანს მისი მოცელვის მეტი აღარა დარჩენოდა. პენალტი ქინქლაძემ მარჯვენა კუთხეში გაიტანა.

53. ნემსაძის პასით შოთა არველაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა. ავაქიანი ბურთს კი წაეპოტინა, მაგრამ ვერას გახდა — მესამე გაუშვა.

58. შეცვლაზე წუთის წინ შესულმა არჩილ არველაძემ ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა: კუთხურზე ცხადაძის თაური მეკარემ რომ მოიგერია, არჩილმა დაამატა.

60. მეკარესთან პირისპირ ტყუპები დარჩნენ. ბურთი შოთას ჰქონდა. ავაქიანი წინ გამოსულიყო. შოთამ კარში არ დაარტყა, არჩილს დაუგორა, მასაც უფრო ხელსაყრელი პოზიციიდან გატანა არ გასჭირვებია.

67. გოგიჩაიშვილის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი შოთა არველაძემ თავით გაიტანა.

81. ნემსაძემ არჩილს მცველებს შორის გაუჭრა პასი, მან ყაველაშვილს მიაწოდა, მიშამ მეკარეს გვერდი აუარა და მეტოქეთა წუალებას წერტილი დაუსვა.

### გახსოვდეთ 30 მარტი!

ზუსტად შვიდი წლის წინ ყიფიანმა და ძოძუაშვილმა ეს დღე ცუდად დასცადეს — 1990 წელს ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში „იბერია" „კოლხეთთან" შინ დამარცხდა. კვირას ეროვნული გუნდის ახალმა მწვრთნელებმა ერთად დაამტკიცეს, რომ ცრურწმენას არ აჰყოლიან. ვინ იცის, იქნებ არც გახსენებიათ ის შვიდი წლის წინანდელი მარცხი, მითუმეტეს, რომ გუშინწინ გოლები ისე პანქტუაციით ცვიოდა სომეხთა კარში, ცუდზე ფიქრის დრო არც იყო.

### მინუს გოგიჩაიშვილი, პლუს ჩიხრაძე

საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობას წინა მატჩთან შედარებით ერთადერთი ფეხბურთელი აკლდა. კახი გოგიჩაიშვილის ნაცვლად ძირითადში ჩიხრაძე ვიხილეთ, რამაც სამკაცა დაცვა ოთხიანად გადააწყო. გადაადგილებები მოხდა შუა და წინა ხაზებშიც: გოგიჩაიშვილის ადგილი მარჯვენა ფლანგზე ქეცბაიამ დაიკავა, ხოლო თავდასხმაში ქინქლაძემ წაიწია. ქინქლაძის თავდამსხმელობაზე ქვემოთ ვთქვათ, მანამდე კი ამ ნაბიჯის მიზეზზე მოგახსენებთ. ვწუხდით, ქინქლაძე და ჯამარაული ნახევარდაცვის ცენტრში ერთურთს ხელს უშლიანო. ყიფიანმაც ესენი დააშორიშორა — ქინქლაძე „სიტის" მწვრთნელ კლარკივით, თავდასხმაში წასწია და ცენტრი ჯამარაულს ჩააბარა. ეტყობა, „ტრაბზონსფორის" ხკამზე ჯდომას ჯამარაულისთვის კვალი დაუჩნევია, რაკილა საქმეს თავი ვერ გაართვა. ალუნიშნავად ვერ დავტოვებთ ფლანგის მოთამაშეებს. მცველებმა — ლობჟანიძემ და ჩიხრაძემ ცენტრალურ მცველებზე უფრო საიმედოდ ითამაშეს, იქნებ იმიტომაც, რომ ქეცბაია და კობიაშვილი თავ-თავიანთ ფრთას კარგად აუსებდნენ და, როგორც წესი, დაცვის დახმარებლადაც ჩადიოდნენ. აშკარაა, ქინქლაძეს არა ერთ და ორ პოზიციაზე შეუძლია კარგად თამაში, მაგრამ მისი სტიქია მაინც საგოლე პასების დარიგება უფროა.

### საქართველო 2 — სომხეთი 2 5:0

სადაც სამართალია, არც ჩვენებურ სამარქაფოთა დავიწყება იქნება. შესანიშნავად ითამაშა არჩილმა, დანარჩენებმა — მშვენივრად, ტოგონიძემ კი ერთ მომენტში ხას[illegible] გვქონდა, სომეხთა წინააღმდეგობა პირველსავე ტაიმში კი [illegible], მაგრამ [illegible] ნახევარში ჩვენმა მოწინააღმდეგემ [illegible] საქმე.

### სომხებმა უფრო გაგვაოცეს

იქნებ ათწლეულებიც გავიდეს და ჩვენმა ნაკრებმა 7:0 ველარ მოიგოს. ეს ბევრმა იცის. და მაინც, მატჩის ბოლოს მქუხარე ტაში არავის გაუგია. იქნებ იმიტომ, რომ სომხეთის ნაკრებმა უსუსტესად ითამაშა და ასეთ მოგებას ძვირი ფასს არ ადებს, ანაც იმიტომ, რომ ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩი იყო. ვერ გეტყვით. ერთი კი ფაქტია: სომეხი ფეხბურთელები სათხილამურო სლალომის ტრასაზე დარჭობილი დროშები ძელაკებივით იყვნენ. სომეხთა მონოტონურობას პირველ ტაიმში ჩვენებურთა სიზანტეც დაერთო. არ ვიცი, ეს ურთიერთდაზვერვის ნაწილი გახლდათ თუ ქართულ-სომხური ბურთაობისთვის მახასიათებელი ნიშანი, ფაქტი კი ესაა: შეხვედრის უსწრაფესი დრიბლინგი ქეცბაიას შესრულებით ხიჭარის ერთადერთი გამოხატვა იყო.

### სამაგი რეკორდი

აქამდე ჩვენი ნაკრების ყველაზე დიდანგარიშიანი გამარჯვება 5:0 იყო უელსელებთან. იმ მოგების მნიშვნელობა სულ სხვა იყო, რადგან შესარჩევ ტურნირში პირველი გამარჯვება გახლდათ. სტატისტიკოსები მატჩის მნიშვნელობას დიდად არ აფასებენ, ასე რომ, 7:0 ჩვენთვის სარეკორდო მოგებაა. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში სომხებმა სარეკორდო წაგების (ჩილელებთან 0:7) შედეგი გაიმეორეს.

წელან უელსი ვახსენეთ. იმ მატჩში შესარჩევში ჩვენი პირველი გოლიც გავიდა. კვირას კი საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა, კერძოდ, შოთა არველაძემ, პირველი ჰეთ-თრიქიც შეასრულა.

**ვახტანგ ბზიკაძე**







პირველი გოლი საცოდავი სომხების კარში: შოთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მოატყუა და შეუგდო

ზაურ ძიძიშვილის ფოტოები

# მატჩის შემდეგ

ყიფიანმა ერთბაშად სამი ახალწვეული გასინჯა. ორი მათგანი ბათუმელი იყო.

გელა შეყილაძე:

— მართალია, მოედანზე ჩემი გასვლისას ანგარიში უკვე საკმაოდ სოლიდური იყო, მაგრამ თავიდან მაინც ვნერვიულობდი — ნაკრებში ხომ პირველად ვთამაშობდი. მერე ნერვიულობა უცებ მომეხსნა. ვფიქრობ, ყიფიანის დავალება შევასრულე. მეტოქემ შეუთამაშებელი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა.

ამირან მუჯირი:

— მოედანზე შესულს ყველა მამხნევებდა, თუმცა რა მქონდა სანერვიულო — ისეთი ანგარიშით ვიგებდით, თავისუფლად ჩავერთე თამაშში. ერთი ხელსაყრელი მომენტიც მქონდა, მაგრამ დარტყმა არ გამომივიდა.

გოგა გახოკიძისთვისაც ეს შეხვედრა სადებიუტო იყო:

— ნაკრებში პირველად ვითამაშე და, ვფიქრობ, ურიგოდ არა. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილო არა ვარ. ისე, როცა ფოთის „კოლხეთი" ინტერტოტოზე საფრანგეთის „გინგამს" შეხვდა, ჩვენ წინააღმდეგ ასადურიანმა ძალზე ტექნიკურად და გონივრულად ითამაშა. დღეს კი ლამის ველარ ვიცანი, თუმცა ეს ჩვენი ბიჭების დამსახურებაა.

### მერაბ მამულაშვილი

სომეხთა გასახდელში სასოწარკვეთილება სუფევდა. სიჩუმეს ფანჯარას მომდგარი თბილისელი ბიჭუნების დამცინავი შეძახილები არღვევდა. უხასიათობის მიუხედავად სომხეთის ნაკრების კაპიტანი ვარდან ხაჩატრიანი მაინც დაგვთანხმდა ინტერვიუზე:

**— სომხეთის ნაკრებმა 0:7 მეორედ წააგო. ჩილეს და დღევანდელი შეხვედრები რომ შეადაროთ...**

— შედარებაც არ შეიძლება. კი გაგეცინებათ, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ ჩვენ მაშინ არაფერი დავუთმეთ ჩილელებს, გოლის გატანის ცხრა ნაღდი შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ. მათ კი შვიდჯერ, ზუსტად შვიდჯერ დაარტყეს კარში და შვიდივე გაგვიტანეს. აქ კი გოლის გატანის შანსი პრაქტიკულად არ გვქონდა, თქვენებს კი ერთი ამდენის გატანა კიდევ შეეძლოთ...

**— ისე, სომხების ასეთი უჭიგრო თამაში არ მახსოვს. საქართველოზე გაცილებით ძლიერ გუნდებთან დიდი ანგარიშითაც წაგიგიათ, მაგრამ ჟინიანად გითამაშიათ...**

— დაღლილები ვიყავით, ხეირიანი შეკრება არ გაგვივლია — ორი დღის წინ სომხეთის ჩემპიონატში ვითამაშეთ, მაგრამ ასე ცუდად თუ ვითამაშებდით, ნამდვილად არ გვეგონა. თანაც ზუსტად არ ვიცოდით, ჩატარდებოდა თუ არა ეს მატჩი, თამაშამდე მხოლოდ ერთი კვირით ადრე გავიგეთ, რომ შეხვედრა ნამდვილად შედგებოდა. თუმცა... მეც ვერაფრით ამიხსნია ჩვენი ასეთი დაბნეულობა.

**— ძირითადად რის ხარჯზე მოგიგეს ჩვენებმა?**

— გონივრული ტაქტიკით ითამაშეს, ტექნიკურადაც გვჯობდნენ. გაცილებით უკეთაც იყვნენ შეთამაშებულნი, რაც ძალიან გამიკვირდა, რადგან თქვენი ნაკრების 90 პროცენტი ლეგიონერია და ასეთ ვითარებაში ძნელია გუნდის შეკვრა.

**— რამდენიმე ლეგიონერი გყოლდათ. შეიცვლებოდა რამე, მათ რომ ეთამაშათ?**

— არა მგონია, ძალიან გვაჯობეთ. ამას რომ დავაბრალო წაგება, მართალი არ ვიქნები. შეიძლება ასეთი ანგარიშით არ წაგვეგო, მაგრამ...

**— რომელ ქართველ ფეხბურთელებს გამოჰყოფდით?**

— ქინქლაძეს და შოთა არველაძეს. დიდი ხანია ვთამაშობ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატშიც მითამაშია, შენგელიას წინააღმდეგაც კი, მაგრამ ეს ბიჭები იმ „დინამოს" ფეხბურთელებზე ძლიერად თუ არ თამაშობენ, ნაკლებად არ ჩამოუვარდებიან. რამდენჯერმე ქინქლაძესთან მომიხდა შებრძოლება და ბურთის ფლობით თუ მოულოდნელი პასებით ძალზე დამაბნია. თან, ესენი ხომ ჯერ 23-24 წლის ბიჭები ყოფილან.

**— მეკარემ, ფაქტობრივად, ვერც ერთხელ ვერ გადაგარჩინათ...**

— სხვათა შორის, ჩილელებთანაც არმენ ავაქიანი იდგა. ჩვენი ძირითადი — რომან ბერეზოვსკი რომ გვყოლოდა, ალბათ ასე კატასტროფულად არ წავაგებდით.

**— როდის მიხვდით, რომ აღარაფერი გეშველებოდათ?**

— 0:4-ზე. მანამდე კიდევ მეგონა, რომ რაღაც შეიცვლებოდა.

**— დღეიდან ალბათ რევანშზე იფიქრებთ.**

— რა თქმა უნდა. „დინამოს" და „არარატის" შეხვედრები გაიხსენოთ — ჩვენი მატჩები ხომ მუდამ პრინციპულობით გამოირჩეოდა. რევანშზე ვფიქრობთ. მოკლედ ასე დაწერეთ: რაც უნდა თავი ვიმართლოთ, არაფერი გაგვამართლებს. ამ თამაშში ძლიერმა გაიმარჯვა, ჩვენ კი შიშით ვითამაშეთ და რაც დავიმსახურეთ, მივიღეთ კიდეც.

**მამუკა ძმარაძელია**

# ინგლისს უნდა შევუტიოთ

## ამბობს დავით ყიფიანი



**...ორიოდ ჟურნალისტი რომ დავინახე იმ პატარა ოთახში, ძალიან გამიკვირდა, ვიფიქრე, რამე ხომ არ ვაწყენინე, ანაც ასეთი ანგარიშით მოგების მერე მატჩისშემდგომი პრეს-კონფერენცია აღარ სჭირდებათ-მეთქი — გვითხრა დავით ყიფიანმა გუშინ, როცა დიღმის ბაზაზე მისვლის მიზეზი ავუხსენით.**

**— რადგან სიტყვამ უკვე მოიტანა, პირველად ამას გკითხავთ: რატომ გამოჩნდა სომხეთის გუნდი ასეთი სუსტი?**

— ჩემი აზრით, სერიოზულად არ შეგვაფასეს, ცოტა თავდაჯერებულნიც კი გამოვიდნენ, ჩვენს ფეხბურთელებზე ინფორმაციას ხომ საერთოდ არ ფლობდნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ქინქლაძე, ქეცბაია და შოთა არველაძე ამ თამაშით გაიცნეს. მეორე გოლმა სტუმრები გატეხა და დაშალა.

არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ სომეხთა ასეთი მარცხის უპირველესი მიზეზი, რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდის ძლიერი თამაშია. რაც უნდა იყოს, შვიდ გოლს გატანა უნდა.

**— პირველად ვნახე, რომ სომხები უჯიგროდ თამაშობდნენ.**

— მართალი ბრძანდებით, თუმცა თავიდან საკმაოდ ჯიგრიანად დაიწყეს და პირველი ნახევარი საათი საკადრისი წინააღმდეგობაც გაგვიწიეს, ერთი-ორი მომენტიც ჰქონდათ. ზემოთაც ვთქვი, ისინი მეორე გოლმა გატეხა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ 7:0-ს არ ველოდი და არც ოგანესიანი ჩამოვიდოდა 0:7-ის წასაგებად. ხორენს თურმე დიდი კონფლიქტი მოსვლია აეროპორტში სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან და გენერალურ მდივანთან.

**— გამარჯვების უმთავრეს მიზეზად რას დაასახელებდით?**

— ფიზიკურად უკეთ გამოვიყურებოდით და, რაც მთავარია, მათზე მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყავდა, ყოველ შემთხვევაში, ამ თამაშში ასე გამოჩნდა.

**— თავიდან თითქოს ერთი თავდამსხმელით დაიწყეთ...**

— რატომ, ქინქლაძეც წინ გვყავდა წაწეული და ქეცბაიაც შეტევაში იყო.

**— ყაველაშვილი, არჩილ არველაძე და ჩიხრაძე კარგა ხნის შესვენების მერე მოხვდნენ ნაკრებში. მათი თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

— არჩილ არველაძეზე ადრეც გითხარით, მისი თამაში ძალიან მომეწონა და ამ ბიჭს მეტი შეუძლია-მეთქი. ჩიხრაძეს, ყაველაშვილს და ჯამარაულსაც ძალზე აკლიათ სათამაშო პრაქტიკა. მე მათ ვესაუბრე და უნდა გაიგონ, რომ კლუბში თამაში აუცილებელია. ჩვენ დრო არა გვაქვს, უთამაშებელი კაცის დაყენება კი ძალზე დიდი რისკია. ამ ფეხბურთელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ თავიანთ კლუბებში ადგილის დასამკვიდრებლად.

**— ბათუმელთა სამეულზე რას გვეტყვით?**

— ტოგონიძე არც დებიუტანტია და, ფაქტობრივად, არც დიდი დატვირთვა ჰქონდა, თუმცა ერთ მომენტში გოლისგან გვიხსნა. კმაყოფილი ვარ მუჯირითაც და განსაკუთრებით შეყილაძით.

**— სომხებთან მატჩი ინგლისელებთან თამაშის გენერალურ რეპეტიციად ჩავთვალოთ თუ ინგლისისწინა შეკრებაზე კიდევ აპირებთ რამეს?**

— ამ თამაშს ინგლისელები ვიდეოფირზე იღებდნენ და კარტები ბოლომდე არ გავხსენით. სომხეთი ინგლისი არაა, ამდენ საგოლე მომენტს არავინ შეგვაქმნევინებს, დიდი-დიდი სამი-ოთხი შევქმნათ. დრო მეტად ცოტა გვქონდა და ბევრი ვერაფერი მოვასწარით ამ შეკრებაზე.

**— ნემსაძე კვლავაც უკან ათამაშეთ.**

— არა, გიორგი ნახევარდაცვაში დავაყენე, ოღონდ 70 პროცენტი დაცვისთვის უნდა მიეხედა და შეტევაზე შედარებით ნაკლებად ეფიქრა. გიორგი უნივერსალია, ბრწყინვალედ გაართვა თავი დავალებას. ისე, „ტრაბზონის“ მწვრთნელმა კარგი სამსახურიც გაგვიწია გიორგის უკან დაყენებით — დაცვაში პრობლემები გვაქვს და თუ ვინმე გამოგვაკლდა, ნემსაძე მზად იქნება.

**— ქინქლაძე მარჯვნიდან უტევდა. ესეც თქვენი დავალებით იყო?**

— რა თქმა უნდა. მარჯვენა ინსაიდის ადგილზე წაწეული ქინქლაძე გუნდისთვის გაცილებით მეტი სარგებლობის მომტანია. მის ცაციას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია — საგოლე პასი, გარღვევაზე გაყვანა, მოულოდნელი და მოჭრილი შორეული დარტყმა, თამაშის გაძღოლა. როცა გიო კაცს ატყუებს, ბუნებრივია, მარცხნივ მიდის. მარცხნივ, ანაც ცენტრში რომ დავაყენო, მისი მოქმედების დიაპაზონი შეიზღუდება. როცა ყველაზე მეტ წინააღმდეგობას გვიწევდნენ სომხები, სწორედ ქინქლაძის ამგვარმა მოქმედებამ ითამაშა დიდი როლი. გარდა ამისა, ერთხელ კარგად დაარტყა მარჯვნიდან, სანტიმეტრებით ასცდა კარს...

**— 7:0, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ცუდ სამსახურს ხომ არ გაგვიწევს ინგლისში თამაშის წინ?**

— მე პირიქით ვფიქრობ. ამდენი წაგების მერე ბიჭებს ფსიქოლოგიურად ძალზე უჭირდათ, ამიტომ მოგება საჭირო იყო. მათ უნდა იცოდნენ, რომ მოგება ყველასთან შეუძლიათ, სუსტთანაც და ძლიერთანაც. მე მუდამ ხაზგასმით ვამბობ, რომ ნაკრებში მოგებას ჩვეული ფეხბურთელის ფსიქოლოგია და განწყობაა საჭირო.

**— მაშ, ინგლისთან ფსიქოლოგიური პრობლემები არ გვექნება?**

— ინგლისს უნდა შევუტიოთ. თუ არ შევუტევთ, ბედვნად არ ვეყოფით, მათთან თამაშისას დაცვაში ჩაჯდომა არ შეიძლება. ჩვენც მოგება გვინდა და იმათაც, მოგება კი შეტევას მოაქვს. ისე, ეს 7:0 ინგლისელებსაც შეაშფოთებს ცოტას...

**— ხორენ ოგანესიანს რა უთხარით?**

— ჩემი მეგობარია, საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან ვმეგობრობთ. ხორენ, ეს რა დაგემართა-მეთქი, არ მიკადრია — გავითვალისწინე მისი მდგომარეობა. ისე, მათ რომ ჰქონოდათ შანსი, რა, ნაკლებს გაგვიტანდნენ?

**— 2 აპრილს პოლონეთ-იტალიას უყურებთ თუ „ოდიშ“ — „დინამოს“?**

— ხოჟუვში რეზო ძოძუაშვილი წავა, მე ახლა მთელი ყურადღება „დინამოზე“ უნდა გადავიტანო. გუნდში სერიოზული ძვრები უნდა მოხდეს — ჩემპიონატიც მოსაგები გვაქვს და ჩემპიონთა ლიგისთვისაც უნდა გავძლიერდეთ.

**მამუკა ძვარაცხელია**


**იყიდება**
რუსული ყოველკვირეული
**„ფუტბოლის“**
ყველა ნომერი — პირველიდან ბოლოს ჩათვლით.
*ფასი შეთანხმებით*
*დარეკეთ: 22-58-43*
იკითხეთ მამუკა


# ახალგაზრდები ევროპელებს ემსგავსებიან

**ახალგაზრდული ნაკრები 1:2 ცსკა**

**ახალგაზრდული ნაკრები:** გვარამაძე, წერეთელი, გოგიბერიშვილი, დიდავა, მუჯირი (ქიქველიშვილი 87), ხუჯაძე, კიკნაძე, ასათიანი, აშვეთია, ფოცხვერია (რევაზიშვილი 71), მონასელიძე (ქებაძე 46)

**ცსკა:** ნოვოსადოვი, ხეჟაკი, პერეპუშინი (ცაპლინი 46), იაკოვენკო, მამჩური, შუტოვი, შუსტიკოვი (სედუნოვი 46), ხომუხა (იგნევი 46), კულიკი (კულიჩენკო 61), მოვსესიანი (საველიანი 46), გერასიმოვი (ნიკოლაევი 57)

**0:1** შუტოვი (5), **1:1** ქებაძე (69), **1:2** საველიევი (89)

**გაფრთხილება:** იაკოვენკო, პერეპუშინი, მამჩური, შუტოვი, წერეთელი

**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე

... მატჩის მერე არმიელთა მთავარმა მწვრთნელმა პაველ სადირინმა მითხრა: „ნამდვილად არ მოველოდი ქართველებისგან ასეთ ხისტ თამაშს. ჩემს ბიჭებს თამაშის წინ ვუთხარი — ქართველები ძალიან ტექნიკურები არიან, თუ ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას მისცემთ, ისეთ ფინტებს ჩაგიტარებენ, სირცხვილნაჭამები დარჩებით-მეთქი. თამაში კი ისე წარიმართა, უცხო კაცი თქვენიანებს ვერ იცნობდა. ეტყობა, გუცაევმა უარი თქვა ტრადიციულ, ქართულ სათამაშო სტილზე და უფრო ევროპულს ესწრაფვება, ღირსეული ფეხბურთელებიც შეურჩევია. ასეთი უკომპრომო თამაში დიდი ხანია არ მინახავს. ერთი სიტყვით, კარგი თამაში გამოვიდა და საინგლისოდ ალბათ გამოგადგებათ...“

ბათუმის მატჩი მართლაც ისეთი გამოვიდა, როგორც ბევრი ელოდა, უფრო სწორად, ჩვენების მოქმედება გახლდათ უცხო, თორემ რუსებს გასაკვირი და ახალი არაფერი უჩვენებიათ — ჩვეულ, მრავალნაცად ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობდნენ. თამაზ ლაცაბიძეს, ეტყობა, მოერიდა და წითელ-ყვითელი ბარათების ჩამორიგებისგან მაქსიმალურად შეიკავა თავი. თუმცა, რაღა თავშეკავებაო, იკითხავთ, როცა წერილის დასაწყისში ხუთი „გაყვითლებული“ ფეხბურთელის გვარს წაიკითხავთ. მორიდება კი იმად ვახსენე, რომ ნათელი გამხდარიყო, როგორი დაძაბული, უკომპრომისო და ხისტი თამაშის მოწმე შეიქნა ბათუმის სტადიონზე მოსული მცირერიცხოვანი მაყურებელი. ისე, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების და არმიელთა შეხვედრა მაინცდამაინც დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდა. იშვიათად თუ შენიშნავდით რაიმე ტექნიკურს, სანახაობრივად მიმზიდველს და ამ გამონაკლისთა შემსრულებლები ჩვენები იყვნენ.

... რა ნამუსით ვთქვა, წავაგეთ, მაგრამ კარგად ვითამაშეთ-მეთქი, ამნაირმა ლაპარაკმა ხომ ყველა შეგვალონა. იმის თქმა კი, ჩვენმა ახალგაზრდებმა სხვანაირად ითამაშესო, ნამდვილად შეიძლია და ეს აკი სადირინმაც აღნიშნა. გუცაევი არც ახალი ტაქტიკური ვარიანტის დამუშავებას მოერიდა და როგორც თამაშმა დაგვარწმუნა, ეს ურიგოდ არ გამოსვლია.

ბათუმში ოთხმა დებიუტანტმა ითამაშა, ამდენივე კი უპასუხისმგებლობის გამო შესაძლოა სულაც ჩამოშორდეს ნაკრებს. ვინც იმ დღეს ნაკრების შემადგენლობაში არ იყო, თავის თავს დააბრალოს. რაც შეეხებათ ლეგიონერებს, გუცაევის თქმით, ყველანი მოწვეულნი იყვნენ, მაგრამ იაგორაშვილმა, საჯაიამ და იაშვილმა ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ მოახერხეს ჩამოსვლა. საქმე ის ყოფილა, რომ ამათ გერმანულ კლუბებს 27 მარტს ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ჰქონიათ, ფრანკფურტიდან მომდევნო ავიარეისი კი მხოლოდ 29-ში ყოფილა. ჩალაძეც და სილაგაძეც მოუწვევიათ, მაგრამ, გერმანელების დარად, ლატვიელებსაც უჩალიჩიათ და „სკონტო“ თავის ქართველებიანად ქვეყანას განურიდებიათ. მოკლედ, გუცაევმა ვერც ამჯერად მოახერხა ოპტიმალური შემადგენლობით თამაში. დებიუტანტთაგან კი, ვინ როგორ გაირჯა, ამას მატჩის განხილვისას შეიტყობთ.

თამაშამდე ბათუმში ორი დღე გადაუღებლად წვიმდა. მატჩის დღეს კი გამოიდარა, მაგრამ ვერც მინდორი შეშრა და გრუნტიც მძიმე დარჩა, ამან კი თამაშის ტემპი მნიშვნელოვნად მოადუნა. თუმცა, არა — ყველა მოთამაშეს ზანტობას ვერ დავწამებ: მაგალითად, ცესკას მარჯვენა ნახევარმცველი შუტოვი ისე დაჰქროდა, სპრინტერს შეშურდებოდა, ქართველთა კართან თუ კი რაიმე საფრთხე შეიქმნა პირველ ტაიმში, ყველაფერი ამისი დამსახურება იყო. სტუმართა ტაქტიკური ჩანაფიქრი იოლი მისახვედრი გახლდათ: ესპანეთიდან დაბრუნებულ-გამოძევებული შუსტიკოვი და გერასიმოვი მოედნის შუაში აგორებდნენ ბურთს და შესაძლებლობისთანავე შუტოვისკენ გზავნიდნენ მას, მან კი თავისი საქმე კარგად იცოდა. რაღა თქმა უნდა, არმიელთა ტაქტიკაში კომბინირების სხვა ვარიანტებიც იყო, მაგრამ ძირითადი ეს იყო. რუსების თამაში ყველას კარგად მოეხსენებოდა, ჰოდა, არმიელებმაც ისე ითამაშეს, როგორც მოსალოდნელი იყო. ცოტა გამიგრძელდა და უკვე ის დროა, სტუმართა პირველ გოლზე ვთქვა: გერასიმოვმა ცესკას მორიგი იერიში წამოიწყო, მცველებმა თითქოს განმუხტეს დაძაბულობა და ბურთს თითქოს მონასელიძე უნდა დაუფლებოდა, მაგრამ შუტოვის გადამკიდემ ცოტა დააგვიანა, რუსი კი გვარამაძესთან პირისპირ დარჩა და გოლის გატანა არ გასჭირვებია. მანამდე აშვეთიამ ფოცხვერიას გონივრული პასი ვერ შეიშნოვა და ისეთი მომენტი გააცუდა, საფეხბურთო ლოგიკის მიხედვით უნდა დავსჯილიყავით, რაც გააკეთა კიდეც შუტოვმა.

გატანილმა გოლმა არმიელებს თავდაჯერება და სტიმული შემატა. ისინი აუღელვებლად ამოქმედდნენ, მოედნის ცენტრს დაეპატრონენ. ჩვენები კი, როგორც შეეძლოთ, ისეღა უშლიდნენ ხელს. სტუმრები ათი წუთის განმავლობაში აშკარა უპირატესობას ფლობდნენ და, თუ ამ დროის მანძილზე ვერანაირად იხეირეს, ამაში უპირველესი „დამნაშავე“ გვარამაძეა — ბათუმელმა მეკარემ ისეთი ბურთები აიღო, აულებელს რომ ეძახიან. ამის შემდეგ ჩვენებს დაბნეულობამ და სასტარტო მღელვარებამ გაუარა და ისე ათამაშდნენ, თქვენი მოწონებული. კიკნაძის აქტიურობით მეტოქეს ცენტრიც წაართვეს და გონივრულადაც შეუტიეს. რუსებმა უხეშობას უმატეს, მაგრამ ამაში, ზემოთაც მოგახსენეთ, არც ქართველები ჩამორჩნენ, თუმცა სტუმრებს რას შეედრებოდნენ — ისინი ხომ ამ საქმის ოსტატები არიან. შესვენებამდე უპირატესობა ჩვენებისა გახლდათ, არაერთი რეალური საგოლე მომენტი კი ვერა და ვერ გამოიყენეს, რაც, აშკარაა, შეუთამაშებლობის ბრალია. აბა, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, როცა კიკნაძე ფლანგიდან აწვდის, ბურთი, ფაქტობრივად, კარის ხაზზე მიგორავს, ფეხის წამრტყმელი კი არავინაა. ამგვარი სიტუაციები საკმაოდ იყო. კიკნაძის აქტიურობა კი ვახსენე, მაგრამ ფოცხვერიაზე არაფერი მითქვამს. არ გაგიკვირდეთ, ამ თამაშის მერე მიშამ რომ ეროვნულ გუნდში ამოჰყოს თავი. პროგრესი აშკარაა და ვინც ეს შეხვედრა იხილა, ეჭვი არ მეპარება, უეჭველად დამეთანხმება ამაში. ვიდრე დაშავდებოდა, ფოცხვერიას გამჩერებელი არც იაკოვენკო იყო, არც მამჩური და საერთოდაც მთელი ცესკა ერთმა ფეხბურთელმა აიკლო. მის გასაჩერებლად რუსმა მცველებმა უხეშობის გარდა ვერა მოიფიქრეს და აკი ერთხელაც ისეთი უთავაზეს კოჭში, პირველი ტაიმი ჩვენებმა ათი კაცით დაამთავრეს. შესვენებაზე ექიმებმა მიშას უწამლეს, მანაც ვაჟკაცურად გააგრძელა თამაში, მაგრამ „აბეზარი თავდამსხმელი“ ისევ გაიმეტეს და ისევ იძულებით დაატოვებინეს მოედანი. მოკლედ, ჩემი აზრით, მალე საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი ძლიერი ფორვარდი შეიძლება შეემატოს. ყველაფერთან ერთად, ფოცხვერიას ფიზიკური აღნაგობაც ისეთი აქვს, ნაღდ თავდამსხმელებს რომ შეშვენით, ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

მეორე ტაიმიც ჩვენების უპირატესობით დაიწყო. მეტოქეს თავისუფლად მოქმედების საშუალებას [illegible] და ბურთის [illegible] ტა, რომ ჩვენმა კიდურა ნახევარმცველებმა უმატეს სისწრაფეს. ქებაძე და ასათიანი საგრძნობლად ავიწროვებდნენ არმიელებს, კიკნაძე მუჯირთან ერთად გონივრულად ანაწილებდა პასებს, დაცვაშიც შეთანხმებულად მოქმედებდნენ და თითქოს ანგარიშიც უნდა გაეთანაბრებინათ, რომ სტუმრებმა რამდენიმე ისეთი კონტრშეტევა განახორციელეს, რომელთა ვერგამოყენება უფრო ძნელი გახლდათ, ვიდრე...

გვარამაძემ კიდევ რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. მეკარის თავდაჯერებულობა მის თანაგუნდელებსაც გადაედოთ და როგორც იქნა, გოლიც შეაგდეს: სტუმრები საკუთარი კარის სიახლოვეს დაჯარიმდნენ, ჩვენებმა ორიგინალურად გაათამაშეს ჯარიმა, საბოლოოდ კიკნაძემ მუჯირს დაუგორა ბურთი, ამანაც კარში დაარტყა და ბურთმა ნოვოსადოვამდე მაშინღა მიაღწია, როცა ქებაძის დამატებულის შემდეგ კარიდან მოუხდა გამოტანა. თამაში ასეც უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ... სადირინმა ოთხ შეცვლას კიდევ ორი დაუმატა, ყველა მისმა ფეხბურთელმა კი ყველაფერი გააკეთა გასამარჯვებლად. მატჩის მიწურულს გვარამაძის ერთადერთმა შეცდომამ და საველიევის მიერ ცარიელ კარში გატანილმა გოლმა ისე გაახარა რუსები, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონები გამხდარიყვნენ.

მატჩის შემდეგ ყველა კმაყოფილი იყო. ახალგაზრდულმა ნაკრებმა შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად მაინც ღირსეულად ითამაშა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ასეთი ყაიდის თამაშით ინგლისელებთან გამკლავებაც შეიძლება. ვოვა გუცაევიც საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. მოინდომეს და ისე ითამაშეს, მათზე გამოცდილ და უფროს მეტოქეებს ტოლი არაფერში დაუდეს. კარგი იქნებოდა, სხვა ლეგიონერებსაც რომ ეთამაშათ, თუმცა, მთავარი ისაა, რომ მათი დამატების შემდეგ კიდევ უფრო გავძლიერდებით და ინგლისში წარმატებაზეც შეგვეძლება ფიქრი. ცესკასთან ახლებურად ვითამაშეთ, და ჩემი აზრით, ყველაფერი ნორმალურად იყო. ინგლისში სწორედ ასეთი ტაქტიკა გამოგვადგება. დებიუტანტების მიმართაც არაფერი მაქვს სასაყვედურო. რაც უნდა იყოს, პირველად ითამაშეს ნაკრებში, ცოტა ნერვიულობაც ეტყობოდათ, მერე კი, ცხადია, შეეჩვევიან. ყველა მათგანი ძალიან პერსპექტიული მოთამაშეა და ისინი სამომავლოდაც გამოგვადგებიან. ცქიტიშვილის ავადმყოფობამ ნაწილობრივ შეცვალა ტაქტიკური სქემა — იძულებული გავხდით, ლიბეროდ გოგიბერიშვილი გვეთამაშებინა და დაცვაში ცოტას მოვიკოჭლებდით, მაგრამ ეს ფეხბურთელიც დებიუტანტია და დებიუტის კვალობაზე, მითუმეტეს, მისთვის უჩვეულო ამპლუაში, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რაც შეეხება ჯარიმას, რომლის შედეგადაც გოლი გავიტანეთ, ძალიან გამიხარდა, ბიჭებმა ასე ორიგინალურად რომ გაითამაშეს. ვარჯიშებზე ბევრი ვარიანტი კი დავამუშავეთ, მაგრამ ასეთი არასოდეს გაგვიკეთებია. მოთამაშეებმა ყველაფერი იმ მომენტში გადაწყვიტეს“.

**კობა ინასარიძე**
**ბათუმიდან**


ბავშვთა კვება
Gerber
ახალი სიცოცხლის
უმშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა
☎ 39-47-83

ეროვნული ბიბლიოთეკა

FRANCE 98 შესარჩევი ტურნირი

# ქულები, რომლებიც სიცოცხლეზე მეტია

## I ჯგუფი

### ხორვატია 1:1 დანია

თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე ქარმა ბრიან ლაუდრუპის მიერ მარჯვენა ფრთიდან ჩაკიდული ბურთი მასპინძელთა კარში შეაგდო და სამი ქულა გამოსტაცა ხელიდან.

მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას ძირითადად ხორვატები ფლობდნენ. სახიფათო მომენტთა უმეტესობაც მათი შექმნილი გახლდათ. მეოთხე წუთზევე ალიომა ასანოვიჩის მიერ 25 მეტრიდან შესრულებული ჯარიმა დანიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" გოლკიპერმა პიტერ შმაიხელმა მოიგერია. გამოხდა ხუთი წუთი და მილანელი ზვონიმირ ბობანის ექვსი მეტრიდან დარტყმული აილო მეკარემ. შმაიხელის ბრწყინვალე თამაში საგანგებოდაა აღსანიშნავი. ის რომ არა, ხორვატებს, ვინძლო კლიმატური გოლის გამო, წარმატება ხელიდან არც გაეშვათ. ზოგადად დანიელები ცხრა კაცით ცდილობდნენ ბურთის არგაშვებას, მაგრამ მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე მადრიდის „რეალის" ფორვარდმა დავორ შუკერმა რობერტ იარნის პასით გახსნა ანგარიში. შემდეგ დანიელებმაც გამოიღეს ხელი — ალან ნილსენმა ძელს გაარტყა. საფინალო სასტვენამდე შვიდი წუთით ადრე კი...



ბობანის და ლაუდრუპის „ურთული ვირი"

— მანამდე მეტი გვქონდა და უკეთესადაც ვთამაშეთ, მაგრამ უიღბლობამ გვეწია. სამწუხაროა, ორი ქულა რომ დავკარგეთ, მაგრამ შეჯიბრება ამით არ დასრულებულა — თქვა ექს-იუგოსლაველთა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა — გვეგონა, შუკერის გოლით ყველაფერი დასრულებული იყო.

ხვალ ხორვატია სლოვენიაში ხვდება სლოვენიას, მაგრამ შუკერის გარეშე მას ორი ფეთილი ბარათი აქვს. დანიელებთან მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მიღებულმა ტრავმამ კი, შესაძლოა, იუვენტუსელი ალენ ბოკშიჩის თამაშიც საეჭვო გახადოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ხორვატია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| ბოსნია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 3 |
| სლოვენია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

## IV ჯგუფი

### შოტლანდია 2:0 ესტონეთი

**შოტლანდია:** ლეიტონი, ბერლი, ბოიდი, კალდერვუდი, ჰენდრი (ბ.მაკკინლი 64), ტ.მაკკინლი, ჯემილი, მაკიტი, ჯექსონი (მაკგინლი 83), მაკალისტერი, გალაჰერი

**გოლი:** ბოიდი (25), მეეტი (52საკ.კარში)

„სელტიკის" მცველი ტომ ბოიდი ნაკრებში ორმოცდამესამედ გამოდიოდა, მაგრამ პირველად გაიტანა. მატჩში, რომელიც კილმარნოკში გაიმართა, მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა მას მოხეტიალე თავდამსხმელის ფუნქცია დააკისრა და ტომმაც გაამართლა. მარტო გოლის გატანა როდი იკმარა, მან მეორეს გატანაშიც ლომის წილი დაიდო, შემდეგ კი ზარიზას გადააცილა.

— ვგრძნობდი, რომ კარგ პასებს ვასრულებდით. ახლა, გამარჯვების შემდეგ, ავსტრიასთანაც დიდი გულით გავალთ მოედანზე. იქნებ „სელტიკ პარკზე" ოთხშაბათს მეორე გოლიც გავიტანო — თქვა ბოიდმა.

— ტომმა თავდასხმაში ისე ითამაშა, როგორც მე ვთხოვე — მოჰყვა კრეიგ ბრაუნმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 5:0 | 11 |
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| შვედეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:3 | 4 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| ლატვია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |

უჩვეს შოტლანდიელთა კაპიტანი გარი მაკალისტერი



## V ჯგუფი

### კვიპროსი 1:1 რუსეთი

რუსებს მეტისმეტად სწყუროდათ გამარჯვება და საამისოდ მატჩის საწყის ოცდაათ წუთში მეტოქის კარს ალყა შემოარტყეს. მათ რამდენიმე ხეირიანი მომენტიც გაუშვეს ხელიდან, შემდეგ კი გოლი გაუშვეს: 31-ე წუთზე თავდამსხმელმა სინიშა გოგიჩმა ნიკოს პაპავასილიუს კუთხურიდან თავით გოლი შეაგდო. სტუმრებმა ერთ წუთში გაქვითეს: ჯარიმას იგორ სიმუტენკოვის გოლი მოჰყვა. მეორე ტაიმში უპირატესობა თავიდან ბოლომდე რუსებისა იყო, მაგრამ კვიპროსელთა კარგად ორგანიზებულ დაცვას ვერაფერი დააკლეს. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ალექსანდრ მოსტოვოი დარჩა უმეთვალყუროდ მოწინააღმდეგის კარიდან სამ მეტრში, მაგრამ ააცილა.

### ლუქსემბურგი 0:3 ისრაელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| რუსეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:2 | 8 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| კვიპროსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |

## VI ჯგუფი

### მალტა 0:2 სლოვაკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 19:3 | 16 |
| იუგოსლავია | 5 | 4 | 0 | 1 | 18:4 | 12 |
| სლოვაკეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:5 | 12 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:1 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 5:22 | 0 |
| მალტა | 6 | 0 | 0 | 6 | 0:27 | 0 |

## II ჯგუფი

### იტალია 3:0 მოლდოვა

**იტალია:** პერუცი, ნესტა (კანავარო 32), ფერარა, კოსტაკურტა, მალდინი, დი ლივიო (ვრანიო 74), ალბერტინი, დი მატეო, დ.ბაჯო, ვიერი (მალდოვანი 67), ძოლა

**მოლდოვა:** რომანენკო, ფისტიკანი, ტესლიკვნიკოვი, ტესტიმიცანუ, კულიბაბა, სპინუ (სუხარევი 50), კურტიანუ, შიშკინი, კარპიანუ, გაიდამაშჩუკი (ნებოტარი 61), კლეშჩენკო

**გოლი:** მალდინი (24), ძოლა (44), ვიერი (49)

ტრიესტის „ნერო როკოს" ფუტურისტული არქიტექტურით ნაგებ სტადიონს 25 ათასი გულშემატკივრის სიმძიმე კარგა ხანია დავიწყებული ჰქონდა. სადღაც ქვედაზე ქვედა ლიგაში მოფარფატე ადგილობრივი გუნდის თამაშებზე მაქსიმუმ ხუთი ათასი კაცი მიდის ხოლმე, მაგრამ შაბათს სხვა საქმე იყო. იმ დღეს ტრიესტის შვილმა, იქ შობილმა და გაზრდილმა ჩეზარე მალდინიმ მშობლიურ ქალაქს „სკუადრა ადზურა" ჩაუყვანა. როდესაც მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ხალხმა ნაკრების მწვრთნელს ჰკიდა თვალი, ტრიბუნები კი არა, ლამის ცა ჩამოიქცა. მაშხალების კვამლმა ყველა და ყველაფერი დაფარა. ეს რაა, ამ თამაშზე სლოვენებიც კი ჩავიდნენ — სლოვენიის საზღვარი ხომ ტრიესტიდან ხუთაღ ხუთ კილომეტრშია.

იტალიელებმა ათი თავით აჯობეს სტუმრებს, რომლებმაც თამაშის წინა დღეს მაღაზიებში სიარულით იჯერეს გული. მაღაზია მაღაზიად, მაგრამ იმავე მატჩმა აჩვენა, რომ თუმც „სკუადრა ადზურას" ჩამოუვარდებიან, მოლდოველებს ხისტი, თამაშის ჩაშლაზე აწყობილი ქმედებანი კარგად აქვთ შესწავლილი და შესაძლოა შემოქმედებითს ბევრს ვერაფერს ახერხებენ, იოლად გასატეხნიც არ არიან.

პირველ ოთხ წუთში სტუმართა მეკარემ დენის რომანენკომ „ჩელსის" მოთამაშეების, რობერტო დი მატეოსა და ჯანფრანკო ძოლას დარტყმულები მოიგერია. მალე მოლდოველმა ალექსანდრე კურტიანუმ პერუცის კარს იტალიელთათვის უსიამოვნო მანძილით ააცილა. ამის შემდეგ მასპინძელთაგან ნაკრების დებიუტანტი, იტალიაში დაბადებული და ავსტრალიაში გაზრდილი იუვენტუსელი კრისტიან ვიერიც გააქტიურდა.

ამასობაში 24-ე წუთიც დადგა და შვილმა მალდინიმ, პაოლომ, ანგარიში გახსნა. ტრიესტელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამ გოლის ასისტენტმა ძოლამ კი ოც წუთში ანგარიში გაზარდა.

მოლდოველთა მარცხს ბოლო წერტილი მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე დაესვა — კრისტიან ვიერიმ „სკუადრა ადზურას" ისტორიაში მეათასე გოლი შეაგდო (პირველი 1910 წელს საფრანგეთთან თამაშში, რომელიც 6:2 დამთავრდა, პიეტრო ლანამ გაიტანა).

— რომ გავიტანე, არც კი ვიცოდი, რომ ეს გოლი ისტორიაში მეათასე იყო. მის მნიშვნელობას მერელა ჩავწვდი, ბიჭებმა რომ მითხრეს. თანაც ეს გოლი ჩემს სადებიუტო შეხვედრაში გავიტანე — თქვა მატჩის შემდეგ ვიერიმ.

მამა მალდინიმ კი თამაში ერთობ უცნაური ფრაზით შეაფასა: მთლიანად კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარო.



პაოლოს კარგი თამაშით მამა გაუხარებია

— პირველ ნახევარში რამდენიმე სირთულე შეგვექმნა, ძირითადად ნახევარდაცვაში — თქვა მან — ვიერი და ძოლა საკმარისად უკან არ ჩამოდიოდნენ და მოედნის შუაში რიცხობრივ უმცირესობაში ვრჩებოდით. საბედნიეროდ, ჩვენი დაცვა რაიმე პრობლემას არ წააწყდომია, ეს კი კარგის მანიშნებელია. მოლდოვამ ბურთის ფლობით მოიწონა თავი, მაგრამ დამაგვირგვინებელ ეტაპზე ვერ ივარგა. ნაწილობრივ ამაში ჩვენმა დაცვამ დაიდო წილი. და მაინც, ჩვენ შეგვიძლია უკეთ თამაში და ვალდებულნიც ვართ. მე ჩემი გუნდისგან მეტს ველი.

თავისი ვაჟის გატანილ გოლს მალდინიმ ჯადოსნური უწოდა. ამ ნათქვამმა ცხადია ხელად გამოიბა კუდები — მწვრთნელს შვილის გოლი სხვებისაზე მეტად გაუხარდაო.

— ეს ხუმრობაა. მამა ჩემი გოლით ისევე ხარობდა, როგორც დანარჩენი ორით. ჩვენ შორის პროფესიული ურთიერთობა ზუსტად ისეთივეა, როგორც მასსა და სხვა ფეხბურთელებს შორის. საკუთარი წარმატებაც მახარებს და მამისაც, თუმცა ჯობდა, ანგარიში ცოტა ადრე გაგვეხსნა — განმარტა პაოლომ.

ხვალ იტალიელები პოლონეთში თამაშობენ. შემადგენლობა ალბათ თითქმის იგივე ეყოლებათ, თუმცა პოლონეთს ვერ გაემგზავრებიან ენრიკო კიეზა და მოლდოველებთან მატჩის 32-ე წუთზე დაშავებული ალესანდრო ნესტა. ნესტა რომს გაემგზავრა საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმებისთვის. ნაკრების ექიმის აზრით, მისი ტრავმა, შესაძლოა, მეტნაკლებად სერიოზული გამოდგეს.

— პოლონეთი უთუოდ ძლიერი მოწინააღმდეგე იქნება, მაგრამ თუ ჩვენ საქმეს ისევე მივუდგებით, როგორც დღეს, ალბათ კარგად წაგვივა — თქვა სტეფანო ერანიომ. იგივე აზრი გაიზიარა რობერტო დი მატეომაც: — პოლონეთთან შეხვედრა გაცილებით ძნელი იქნება. მე ვნახე მათი თამაში ინგლისის წინააღმდეგ და ვიცი მათი ძალა.

ტრიესტის თამაშს ესწრებოდა პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რიშარდ კულეშა, რომელსაც ოთხშაბათის თამაშის შესახებ ჰკითხეს.

— ძალიან ძნელი თამაში გველის. საქმე ისაა, რომ ჩვენ აღარ გვყავს უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, ისეთები, ზბიგნევ ბონეკი რომ იყო. ჩვენი დღევანდელი გუნდი საშუალო დონისაა. არის რამდენიმე სასარგებლო მოთამაშე და ამ საშუალო დონისგან მხოლოდ მარეკ ჩიტკო გამოიყოფა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| ინგლისი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | 0 |

## VII ჯგუფი

### ჰოლანდია 4:0 სან მარინო

სან მარინომ პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთამდე გოლი არ გაუშვა — დაცვაში ხალხმრავლობით ცდილობდა ფონს გასვლას. თითქოს გამოუდიოდა კიდეც, მაგრამ მეკარე ფედერიკო გასპარონიმ კლუივერტის დარტყმა ფეხებს შორის გაუშვა და ანგარიშიც გაიხსნა.

ჰოლანდიელებს მეორე ტაიმის დასაწყისში თამაშის რიტმის მოძებნა რატომღაც გაუჭირდათ და „ამსტერდამ არენაზე" შეკრებილი გულშემატკივრების სტვენის მოსმენაც მოუხდათ, მაგრამ 58-ე წუთზე ფრანკ დე ბურმა შეაგდო და მოვლენებიც მოსალოდნელი სცენარით განვითარდა. შემდეგ „ნოტინგემის" ვან ჰუიდონკმა დაამატა მესამე, ბოლოს კი დე ბურმა თავისი მეორე გაიტანა.

### უელსი 1:2 ბელგია

**უელსი:** საუთჰოლი, ბლექმორი, პემბრიჯი, ჯოუნზი, საიმონსი, პეიჯი, ჰორნი, სპიდი, სონდერსი (ჰართსონი 64), ჰიუზი, გიგზი

**ბელგია:** დე ვილდე, კრასონი, დერიკერი, ვან მეირი, სმილტსი, ვანდერელსტი, სტალენსი, ოლივეირა (შიფო 80), ლ.მპენზა (მ.მპენზა 64), ლემოინი, კრკპოვენი

**გოლი:** კრასონი (24), სტალენსი (44), სპიდი (67)

ბელგიელებთან დამარცხებამ უელსელთა ცნობილ მეკარეს სანაკრებო კარიერის დასრულება კიდევ ერთხელ აფიქრებინა. 38 წლის ნევილ საუთჰოლმა, ნაკრებში 91 მატჩი რომ დაგროვებია, მატჩის შემდეგ განაცხადა:

— სულაც არაა გამორიცხული, რომ დღეს ეროვნულ გუნდში უკანასკნელად ვითამაშე. მე მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს აღარ ვაპირებ და ვერც დროს დავაბრუნებ. გაგრძელება უბრალოდ უაზრობა იქნებოდა. ხალხი მთხოვს, ას თამაშამდე აღიო, მაგრამ ვფიქრობ, ამით იმ ახალგაზრდა უელსელებს შევუშლი ხელს, თავიანთ ჯერ რომ ელოდებიან.

ბერტრან კრასონის ლამაზმა შორეულმა დარტყმამ და ლორენცო სტალენსის თაურმა სტუმართა მწვრთნელი ჟორჟ ლიკენსი ერთობ გაახარა:

— რამდენჯერმე გაგვიჭირდა, მაგრამ ამ თამაშმა იმედიც ჩაგვისახა. დღეს ჩვენთვის ასე აუცილებელი კოლექტიური თამაში ვიხილე.

მასპინძლებს ყველაზე მეტი ხიფათი ბრაზილიური წარმოშობის ლუის ოლივეირამ და 18 წლის ლოკონდა მპენზამ შეუქმნეს. უელსელებმა ერთადერთი საპასუხო 67-ე წუთზე შეაგდეს, თუმცა მანამდე, ორი წუთით ადრე, ჰართსონის პასით სონდერსს შეეძლო მიზნის მიღწევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 17:2 | 12 |
| ბელგია | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 14:12 | 7 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:2 | 4 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 0:25 | 0 |

## VIII ჯგუფი

### რუმინეთი 8:0 ლიხტენშტაინი

**რუმინეთი:** სტინგაჩუ (პრუნეა 63), პეტრესკუ (ფილიპესკუ 70), პროდანი, დობოში, გილჩა, პოპესკუ, სელიმეში, ილიე, მოლდოვანი (კრაიოვეანუ 63), ჰაჯი, ვლადოიუ

რუმინეთს ორჯერ მეტი გოლის გატანაც შეეძლო. არადა, ერთიც რომ შეეგდო, 24 წლის წინ ფინელებთან შეხვედრაში დამყარებულ გოლუხვობის რეკორდს გაიმეორებდა. სტუმრებს ვერც თავსხმამ უშველა და ვერც ბელტებამობრუნებულმა მინდორმა. რუმინელთა თერთმეტლეგიონერიანმა გუნდმა საფრანგეთისკენ უდანაკარგო სვლა განაგრძო. თითო გოლი გაიტანეს ჰაჯიმ, მოლდოვანმა, პეტრესკუმ და კრაიოვეანუმ, პოპესკუმ კი მთლად ოთხი შეაგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 18:0 | 12 |
| ირლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:0 | 7 |
| მაკედონია | 5 | 2 | 1 | 2 | 15:8 | 7 |
| ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ისლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:29 | 0 |

# ორკესტრის რეპეტიცია ინგლისურად

[illegible]



[illegible]



[illegible]



[illegible]



[illegible]

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 6 | 2 | 3 | 1 | 52 | 9 |
| [illegible] | 4 | 3 | 0 | 1 | 42 | 9 |
| [illegible] | 5 | 1 | 3 | 1 | 43 | 6 |
| [illegible] | 3 | 1 | 2 | 0 | 62 | 5 |
| [illegible] | 4 | 0 | 3 | 1 | 32 | 3 |
| [illegible] | 4 | 0 | 1 | 3 | 37 | 1 |

## ესპანეთი

### XXXI ტური

**ვალენსია 1:1 ბარსელონა**
1:0 ლეანდრო (42), 1:1 რონალდო (70)

**სევილია 2:2 ვალიადოლიდი**
1:0 ხოსე მარი (22), 1:1 ფერნანდო სანჩესი (30), 1:2 ქუევედო (75), 2:2 ბალესტა (81)

**ლოგრონიესი 1:4 ბილბაო**
1:0 სოსა (8), 1:1 სიგანდა (12), 1:2, 1:3 ურსაისი (37, 67), 1:4 სიგანდა (75)

**კომპოსტელა 4:0 ესტრემადურა**
1:0, 2:0 პენევი (5, 65), 3:0 ფერნანდესი (83), 4:0 ოჰენი (83)

**სარაგოსა 1:1 სელტა**
0:1 გარსია (3), 1:1 მორიენტესი (11)

**რასინგი 1:2 ერკულესი**
1:0 კორეა (55), 1:1, 1:2 ალფარო (69 პ, 74)

**ესპანიოლი 0:0 ბეტისი**

**ოვიედო 0:2 რაიო**
0:1 კასტილიო (45), 0:2 გილერმე (79)

**ტენერიფე 1:1 რეალი**
0:1 ვიქტორი (59), 1:1 ნევილი (66)

**სოსიედადი 1:1 დეპორტივო**
1:0 არანსაბალი (39), 1:1 რივალდო (65)

ტურის ცენტრალური შეხვედრა ვალენსიაში გაიმართა. მასპინძლებმა, მეტადრე მეკარემ, თავი არ დაზოგეს და იმ სალამოს ბრწყინვალედ მოთამაშე იმავე მეკარისვე ერთადერთი შეცდომა რომ არა, ალბათ, დაამარცხებდნენ კიდეც „ბარსას". პირველ წუთებში სტუმრებმა საკუთარ კარს მიაჯაჭვეს ვალენსიელები. საწყის ათ წუთში ბრაზილიელმა რონალდომ სამჯერ გაუცრუა იმედი უეჭველი გოლის მომლოდინე ბარსელონელებს, არადა, ნაღდი მომენტები ჰქონდა. ტაიმის შუაში თამაში გათანაბრდა, მიწურულს კი ლეანდრომ ვალენსიელები დააწინაურა. მეორე ნახევრის დაწყება და „ბარსელონას" გაცხარება ერთი იყო, მაგრამ სუბისარეტა საუცხოოდ თამაშობდა — კრუიფის „ბარსადან" მოკვეთილი მეკარე სულაც არ აპირებდა ბურთის გაშვებას. არც მის კოლეგას, წინა დღით ნაკრებიდან მიბრუნებულ ბაიას დაადგა კარგი დღე. მასპინძელთა ფორვარდები არც ისე ხშირად, მაგრამ სახიფათოდ აწიოკებდნენ მას. ტაიმის შუაგულში გააქტიურებულმა დე ლა პენიამ თავისიანებიც აიყოლია და მალე ევროპის ექს-საუკეთესო ფეხბურთელის, ხრისტო სტოიჩკოვის პასით 20 წლის სუპერფორვარდმა რონალდომ გაყაამა. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ვალდანომ ქების სიტყვები არ დაიშურა რონალდოსა და გვარდიოლას მიმართ. რონალდო ვალდანოს კოლეგამ რობსონმაც აქო, რომელმაც თქვა, ბიჭი 20 წლისაა და ყველა თამაშს ატარებს, გოლებიც ბლომად გააქვს, ბევრი კი მის ასაკში სათადარიგოთა შორისაა. თან დასძინა, მასზე აუგი ნამდვილად არ მეთქმისო. რონალდოს ყურადღება არასდროს აკლდა, მაგრამ ბოლო კვირაა, ყველას მისი სახელი აკერია პირზე. დაირხა ხმები, ბრაზილიელი სეზონის ბოლოს „ბარსელონას" ტოვებსო. ჭორებით ერთობ გალაღლილმა რონალდომ ბოლოსდაბოლოს თქვა, „ბარსამ" ვარსკვლავად მაქცია და აქედან წასვლას სულაც არ ვაპირებო. კატალონიელთა კლუბის პრეზიდენტმა ნუნიესმა კი იგი 6 მილიონი პესეტით დააჯარიმა, რაკი პრინციპული თამაშების წინ ბრაზილიელი ერთობ ბევრს ფიქრობდა ტრანსფერებზე. ამან ფეხბურთელი სულაც არ გაანაწყენა: „მისი გადაწყვეტილება სამართლიანია. ვაღიარებ, რომ მართალი არ ვიყავი. ფეხბურთელი მარტო საკუთარ თავზე არ უნდა ფიქრობდეს" — განაცხადა დაჯარიმებულმა რონალდომ. მოკლედ, „ბარსელონა" მუდამ იპყრობს ყურადღებას, ისევე როგორც მისი დაუძინებელი მტერი მადრიდის „რეალი". კაპელოს ბიჭებს 11 ქულით შეეძლოთ წინ გასვლა, მაგრამ იტალიელი ფორვარდისგან კუთხურიდან გოლი გაუშვეს და სხვაობა ხელუხლებელი დატოვეს. ესპანური ფეხბურთის ამ ორი აღიარებული ლიდერის დარად ფრედ ითამაშეს „ბეტისმა" და „დეპორტივომ". სევილიელებმა, ლა-კორუნიელთაგან განსხვავებით, სეზონში მეორედ ვერ მოახერხეს მეტოქის კარის დალაშქვრა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 31 | 21 | 9 | 1 | 66:25 | 72 |
| ბარსელონა | 31 | 19 | 6 | 6 | 76:38 | 63 |
| ბეტისი | 31 | 18 | 9 | 4 | 68:32 | 63 |
| დეპორტივო | 31 | 16 | 12 | 3 | 47:22 | 60 |
| ატლეტიკო | 29 | 15 | 7 | 7 | 56:39 | 52 |
| ბილბაო | 31 | 11 | 14 | 6 | 57:44 | 47 |
| სოსიედადი | 31 | 13 | 8 | 10 | 38:34 | 47 |
| ვალიადოლიდი | 31 | 12 | 9 | 10 | 40:36 | 45 |
| ტენერიფე | 30 | 12 | 8 | 10 | 51:34 | 44 |
| ვალენსია | 31 | 12 | 7 | 12 | 46:41 | 43 |
| რასინგი | 31 | 10 | 11 | 10 | 35:34 | 41 |
| სელტა | 31 | 8 | 12 | 11 | 35:39 | 36 |
| კომპოსტელა | 31 | 9 | 9 | 13 | 35:52 | 36 |
| სპორტინგი | 30 | 9 | 8 | 13 | 33:46 | 35 |
| ოვიედო | 31 | 9 | 8 | 14 | 30:49 | 35 |
| სარაგოსა | 31 | 7 | 12 | 12 | 39:50 | 33 |
| რაიო | 31 | 9 | 6 | 16 | 31:45 | 33 |
| ესტრემადურა | 31 | 8 | 8 | 15 | 25:47 | 32 |
| ესპანიოლი | 31 | 8 | 7 | 16 | 33:46 | 31 |
| ლოგრონიესი | 31 | 8 | 4 | 19 | 26:62 | 28 |
| სევილია | 31 | 7 | 4 | 20 | 29:56 | 25 |
| ერკულესი | 31 | 7 | 4 | 20 | 27:58 | 25 |

### მეორე დივიზიონი

29-ე ტური. რეალი B — ოსასუნა 2:0, ესიხა — ბარსელონა B 1:1, ლას პალმასი — სალამანკა 1:1, ორენსე — ვილიარეალი 4:0, ალბასეტე — ატლეტიკო B 1:0, მერიდა — ბადახოსი 2:0, ტოლედო — ლევანტე 1:0, ლერიდა — ეიბარი 2:1, ლეგანესი — მალიორკა 0:1, ალმერია — ალავესი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალიორკა | 29 | 17 | 7 | 5 | 46:26 | 58 |
| მერიდა | 29 | 16 | 7 | 6 | 43:24 | 55 |
| ალბასეტე | 29 | 14 | 8 | 7 | 39:26 | 50 |
| სალამანკა | 29 | 13 | 9 | 7 | 48:28 | 48 |
| ეიბარი | 29 | 12 | 12 | 5 | 35:22 | 48 |
| ბადახოსი | 29 | 11 | 13 | 5 | 26:18 | 46 |
| ლევანტე | 29 | 10 | 9 | 10 | 41:34 | 39 |
| ლას პალმასი | 29 | 10 | 9 | 10 | 37:37 | 39 |
| ლეგანესი | 29 | 9 | 11 | 9 | 33:30 | 38 |
| ატლეტიკო B | 29 | 10 | 8 | 11 | 42:42 | 38 |
| ორენსე | 29 | 9 | 10 | 10 | 28:33 | 37 |
| ალავესი | 29 | 9 | 9 | 11 | 33:33 | 36 |
| ტოლედო | 29 | 9 | 9 | 11 | 30:36 | 36 |
| ვილიარეალი | 29 | 10 | 6 | 13 | 29:40 | 36 |
| ლერიდა | 29 | 8 | 10 | 11 | 31:33 | 34 |
| ალმერია | 29 | 6 | 13 | 10 | 29:38 | 31 |
| ოსასუნა | 29 | 7 | 9 | 13 | 29:34 | 30 |
| რეალი B | 29 | 8 | 6 | 15 | 32:56 | 30 |
| ბარსელონა B | 29 | 6 | 10 | 13 | 33:46 | 28 |
| ესიხა | 29 | 5 | 7 | 17 | 19:47 | 22 |




ვალენსია — ბარსელონა. იგან კამპო რონალდოს წინააღმდეგ

## გერმანია

**ბაიერნი 1:0 ვერდერი**
1:0 ციკლერი (1)

**არმინია 1:2 კარლსრუე**
1:0 რეინა (57), 1:1, 1:2 ფინკი (70, 90)

**ლევერკუზენი 2:0 შალკე 04**
1:0 კირსტენი (63), 2:0 მაიერი (86)

**გლადბახი 2:0 ფორტუნა**
1:0 ლუპესკუ (43 პ), 2:0 პეტერსონი (87)

**ჰანზა 3:1 ფრაიბურგი**
1:0 ბაუმგარტი (3), 1:1 შპაისი (16), 2:1 ბაინლიჰი (40), 3:1 შტუდერი (49)

„დორტმუნდი" მხოლოდ 24 საათი იყო ლიდერი, შემდეგ კი ერთბაშად ორმა გუნდმა გაუსწრო. მიუნხენელმა ციკლერმა იტალიელი რიციტელის პასით მე-15 წამზე (!) გაუტანა რეკს და მიონხენგლადბახელი მარტინ დალინის წინა ტურის მიღწევა გაიმეორა. ეს ბუნდესლიგის ისტორიაში მესამე უსწრაფესი გოლია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 25 | 15 | 7 | 3 | 44:24 | 52 |
| ლევერკუზენი | 25 | 15 | 5 | 5 | 50:31 | 50 |
| დორტმუნდი | 25 | 15 | 4 | 6 | 51:30 | 49 |
| შტუტგარტი | 25 | 14 | 6 | 5 | 60:26 | 48 |
| კარლსრუე | 25 | 10 | 7 | 8 | 42:33 | 37 |
| ბოხუმი | 24 | 9 | 10 | 5 | 36:35 | 37 |
| შალკე 04 | 25 | 10 | 7 | 8 | 31:31 | 37 |
| მიუნხენ 1860 | 25 | 9 | 8 | 8 | 42:41 | 35 |
| კიოლნი | 25 | 10 | 4 | 11 | 40:42 | 34 |
| გლადბახი | 25 | 9 | 5 | 11 | 27:29 | 32 |
| ვერდერი | 25 | 9 | 5 | 11 | 38:41 | 32 |
| ჰამბურგი | 25 | 7 | 9 | 9 | 37:40 | 30 |
| არმინია | 25 | 8 | 6 | 11 | 29:36 | 30 |
| დუისბურგი | 25 | 7 | 8 | 10 | 25:36 | 29 |
| ფორტუნა | 25 | 7 | 4 | 14 | 19:41 | 25 |
| ჰანზა | 25 | 6 | 6 | 13 | 27:36 | 24 |
| ზანქტ პაული | 24 | 6 | 5 | 13 | 29:44 | 23 |
| ფრაიბურგი | 25 | 4 | 2 | 19 | 26:57 | 14 |

### მეორე ბუნდესლიგა

23-ე ტური: მანჰაიმი — კიკერსი 0:1, ფორტუნა (კიოლნი) — მეპენი 0:0, კაიზერსლაუტერნი — ვოლფსბურგი 4:0, ლიუბეკი — ურდინგენი 2:0, როტ ვაისი — ჰერტა 2:1, ცვიკაუ — კარლ ცაისი 1:0, აინტრახტი — უნტერჰახინგი 1:0, გიუტერსლო — ლაიპციგი 2:0, ოლდენბურგი — მაინცი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ. სლაუტერნი | 23 | 12 | 9 | 2 | 43:14 | 45 |
| ჰერტა | 23 | 13 | 4 | 6 | 42:24 | 44 |
| ვოლფსბურგი | 23 | 9 | 10 | 4 | 30:19 | 37 |
| მაინცი | 23 | 9 | 9 | 5 | 35:25 | 36 |
| უნტერჰახინგი | 23 | 7 | 14 | 2 | 21:15 | 35 |
| კიკერსი | 23 | 9 | 7 | 7 | 29:22 | 34 |
| მეპენი | 23 | 8 | 10 | 5 | 29:26 | 34 |
| ურდინგენი | 23 | 9 | 4 | 10 | 34:29 | 31 |
| აინტრახტი | 23 | 8 | 6 | 9 | 29:30 | 30 |
| ლაიპციგი | 23 | 8 | 6 | 9 | 35:40 | 30 |
| გიუტერსლო | 23 | 8 | 6 | 9 | 29:35 | 30 |
| ფორტუნა | 23 | 7 | 8 | 8 | 38:32 | 29 |
| კარლ ცაისი | 23 | 6 | 10 | 7 | 29:31 | 28 |
| მანჰაიმი | 23 | 7 | 5 | 11 | 31:37 | 26 |
| ცვიკაუ | 23 | 7 | 4 | 12 | 20:32 | 25 |
| ლიუბეკი | 23 | 5 | 9 | 9 | 20:34 | 24 |
| ოლდენბურგი | 23 | 5 | 5 | 13 | 24:48 | 20 |
| როტ ვაისი | 23 | 6 | 2 | 15 | 26:51 | 20 |

## ინგლისი

პირველი დივიზიონი. კრისტალ პალასი — ბირმინგემი 0:1, ოქსფორდი — ქპრ 2:3, პორტსმუთი — ბრედფორდი 3:1, შეფილდ იუნაიტედი — რედინგი 2:0, სტოკ სიტი — ოლდემი 2:1, სვინდონი — ნორვიჩი 0:3, ბარნსლი — ვესტ ბრომვიჩი 2:0, ტრანმერი — საუთენდი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 40 | 24 | 12 | 4 | 86:48 | 84 |
| ბარნსლი | 38 | 18 | 13 | 7 | 62:43 | 67 |
| შეფილდი | 40 | 18 | 11 | 11 | 68:47 | 65 |
| ვულვზი | 39 | 19 | 8 | 12 | 55:41 | 65 |
| კრისტალ პალ. | 38 | 16 | 11 | 11 | 68:39 | 59 |
| პორტსმუთი | 39 | 17 | 8 | 14 | 50:43 | 59 |
| ნორვიჩი | 40 | 16 | 10 | 14 | 58:59 | 58 |
| იფსვიჩი | 39 | 15 | 13 | 11 | 54:47 | 58 |
| პორტ ველი | 40 | 14 | 15 | 11 | 49:47 | 57 |
| სტოკ სიტი | 39 | 16 | 9 | 14 | 46:49 | 57 |
| ტრანმერი | 39 | 15 | 11 | 13 | 53:48 | 56 |
| ქუინზ პარკი | 40 | 15 | 11 | 14 | 53:53 | 56 |
| სვინდონი | 40 | 15 | 7 | 18 | 51:58 | 52 |
| ოქსფორდი | 40 | 14 | 8 | 18 | 56:58 | 50 |
| სიტი | 38 | 14 | 8 | 16 | 48:49 | 50 |
| რედინგი | 39 | 13 | 11 | 15 | 48:55 | 50 |
| ჩარლტონი | 38 | 14 | 8 | 16 | 46:54 | 50 |
| ბირმინგემი | 38 | 14 | 11 | 14 | 43:45 | 50 |
| ვესტ ბრომვიჩი | 40 | 11 | 14 | 15 | 61:66 | 47 |
| ჰადერსფილდი | 39 | 11 | 12 | 16 | 42:46 | 45 |
| ბრედფორდი | 39 | 9 | 11 | 19 | 41:64 | 38 |
| გრიმსბი | 38 | 8 | 12 | 18 | 50:70 | 36 |
| ოლდემი | 38 | 8 | 11 | 19 | 39:54 | 35 |
| საუთენდი | 40 | 7 | 13 | 20 | 37:74 | 34 |

## იტალია

სერია B. 27-ე ტური: ბრეშია — კიევო 0:0, ემპოლი — ბარი 2:1, ფოჯა — ლუკეზე 2:0, ლეჩე — კრემონეზე 2:1, პადოვა — დი სანგრო 1:1, პესკარა — ტორინო 0:0, რავენა — პალერმო 0:1, რეჯინა — კოზენცა 1:0, სალერნიტანა — ჯენოა 1:1, ვენეცია — ჩეზენა 0:1


# სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
2 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორვატია — სლოვენია | 1,5 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ბოსნია — საბერძნეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| პოლონეთი — იტალია | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| აზერბაიჯანი — ფინეთი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| შოტლანდია — ავსტრია | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ბულგარეთი — კვიპროსი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:2 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| რუსეთი — იუგოსლავია | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| თურქეთი — ჰოლანდია | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ლიტვა — რუმინეთი | 4,0 | 2,9 | 1,7 |
| მაკედონია — ირლანდია | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| ალბანეთი — გერმანია | 12,0 | 6,5 | 1,05 |
| უკრაინა — ჩრდ. ირლანდია | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ბოლივია — არგენტინა | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| ურუგვაი — ვენესუელა | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| პარაგვაი — კოლუმბია | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| პერუ — ეკვადორი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### ამხანაგური მატჩები
2 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი — შვედეთი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| შვეიცარია — ლატვია | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| უნგრეთი — ავსტრია | 1,5 | 3,1 | 5,0 |

### ესპანეთის თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები
2 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ლას პალმასი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| სელტა — ბეტისი | 2,4 | 2,5 | 2,5 |

### რუსეთის ჩემპიონატი. III ტური
2 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალანია — ზენიტი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| როტორი — ცსკა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| დინამო — კრილია სოვეტოვი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ლოკომოტივი — გაზოვიკი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ნიჟნი ნოვგოროდი — როსტსელმაში | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ტორპედო — სპარტაკი | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| ჟემჩუჟინა — კამაზი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| შინიკი — ჩერნომორეცი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ფაკელი — ბალტიკა | 2,5 | 2,5 | 2,4 |

## CROCO-2
### ტირაჟი №29

1. ბოსნია — საბერძნეთი
2. პოლონეთი — იტალია
3. შოტლანდია — ავსტრია
4. ჩეხეთი — იუგოსლავია
5. თურქეთი — ჰოლანდია
6. ლიტვა — რუმინეთი
7. მაკედონია — ირლანდია
8. პარაგვაი — კოლუმბია

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

## ტურისტული ფირმა GT

გიწვევთ სამოგზაუროდ ინგლისში, 30 აპრილს ინგლისის და საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩზე დასასწრებად.

ტურის ხანგრძლივობაა 7 დღე.
ფირმა გპირდებათ საუკეთესო საექსკურსიო მომსახურებას. მოგზაურობა თვითმფრინავით.

საბუთების შემოტანა სასწრაფოა

თბილისი, ჭავჭავაძის 49 ა (ღია საცურაო აუზთან). ტ. 22-19-99 (დღისით), 96-27-20 (საღამოს)

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

28 მარტი

სიეტლი — მინესოტა 92:81, პორტლენდი — ვანკუვერი 115:81, ფინიქსი — გოლდენ სტეიტი 122:115, იუტა — მილუოკი 101:96, მაიამი — კლივლენდი 83:79, ინდიანა — შარლოტი 116:115, ნიუ ჯერსი — ნიუ იორკი 92:86, დეტროიტი — კლიპერზი 113:85, ფილადელფია — ბოსტონი 113:105, ვაშინგტონი — ტორონტო 113:86

29 მარტი

ჰიუსტონი — დენვერი 120:105, იუტა — სან ანტონიო 115:102, ჩიკაგო — ნიუ ჯერსი 111:101, ატლანტა — საკრამენტო 88:74, ვაშინგტონი — დალასი 94:87

30 მარტი

ნიუ იორკი — ორლანდო 101:86, ტორონტო — მაიამი 102:97, ინდიანა — კლიპერზი 103:96, კლივლენდი — დალასი 84:80, ფილადელფია — დეტროიტი 96:92, მინესოტა — გოლდენ სტეიტი 113:102, დენვერი — მილუოკი 99:97, ფინიქსი — სიეტლი 107:106

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| *ჩიკაგო* | 62 | 9 | 87,3 |
| *მაიამი* | 53 | 18 | 74,6 |
| *ნიუ იორკი* | 51 | 21 | 70,8 |
| *ატლანტა* | 50 | 22 | 69,4 |
| *დეტროიტი* | 49 | 22 | 69,2 |
| შარლოტი | 45 | 26 | 63,4 |
| ორლანდო | 40 | 36 | 56,3 |
| კლივლენდი | 37 | 35 | 52,1 |
| ვაშინგტონი | 36 | 35 | 50,7 |
| ინდიანა | 35 | 36 | 49,3 |
| მილუოკი | 28 | 43 | 39,4 |
| ტორონტო | 26 | 47 | 35,6 |
| ნიუ ჯერსი | 23 | 48 | 32,4 |
| ფილადელფია | 20 | 50 | 28,6 |
| ბოსტონი | 13 | 59 | 18,1 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| *იუტა* | 54 | 17 | 76,1 |
| *სიეტლი* | 50 | 22 | 69,4 |
| *ლეიკერზი* | 48 | 23 | 67,6 |
| *ჰიუსტონი* | 48 | 23 | 67,6 |
| *პორტლენდი* | 43 | 30 | 58,9 |
| მინესოტა | 35 | 37 | 48,6 |
| ფინიქსი | 33 | 39 | 45,8 |
| კლიპერზი | 31 | 40 | 43,7 |
| საკრამენტო | 29 | 43 | 40,3 |
| გოლდენ სტეიტი | 25 | 46 | 35,2 |
| დალასი | 22 | 49 | 31,0 |
| დენვერი | 20 | 51 | 28,2 |
| სან ანტონიო | 18 | 53 | 25,4 |
| ვანკუვერი | 12 | 62 | 16,2 |

*გამოყოფილია ფლეი-ოფში გასული გუნდები*

## ლარიმ — არაო!

„ბოსტონ სელტიქსს" საშინელი დროება უდგას. ლიგის ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა უკვე მოახერხა ერთ სეზონში ყველაზე მეტი მატჩის წაგება და ამით უსიამოვნო რეკორდიც „დაამყარა". ამის გამო გუნდის მწვრთნელი ემ. ელ. კარი გულშემატკივართა და პრესის კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მასზე მწვრთნელის წასვლას ითხოვენ.

სანაცვლოდ კი, როცა ლარი ბერდი გუნდში მუშაობს, ცხადია მას მოითხოვენ. ბერდი ამჟამად „სელტიქსის" საგანგებო მრჩეველია. ძირითადად სტუდენტ კალათბურთელების აღმოჩენითა და მათზე დოსიეების შედგენითაა დაკავებული. მის მიერ მწვრთნელად დანიშვნის ჭორებს ლარიმ თავად მოუღო ბოლო: „სელტიქსს" არასდროს გავწვრთნი. არ შემიძლია. „ბოსტონს" მთელი ცხოვრება შევალიე, მაგრამ თუ მწვრთნელობაა, მაშინ სხვა გუნდს მოვკიდებ ხელს."

ბერდმა არც ემ. ელ. კარისთვის დაიშურა თბილი სიტყვები: „ჩავარდნები ყველას აქვს. ემ. ელი მცოდნე მწვრთნელია და, ვფიქრობ, აქვს უფლება კვლავ სათავეში ედგას „სელტიქსს". მეც მასთან ვიქნები და ძალიან გამიხარდება, თუკი ოდესმე ნბა-ს ჩემპიონობას მოვიგებთ."

ბერდი წარმოშობით ინდიანელია. ზემოთაღწერილი ამბების გამგონე იქაურებმა ყურები ცქვიტეს და თქვეს, „ინდიანა პეისერზის" მწვრთნელი ლარი ბრაუნი გამოსაცვლელია და მის ნაცვლად ძირძველი ინდიანელი ბერდი დავნიშნოთო. ბერდმა მოკლედ მოჭრა: „არა ვარ დარწმუნებული, რომ ინდიანელები ჩემით დაინტერესდებიან."

### NCAA. ოთხთა ფინალი

ნახევარფინალები
ინდიაპოლისი. 29 მარტი

არიზონა — ჩრდილოეთ კაროლინა 66:58, კენტუკი — მინესოტა 78:69. ფინალი: არიზონა — კენტუკი წუხელ გაიმართა

## რაგბი

# აღზევდნენ!

ქართველი ჭაბუკები დასახულ მიზანს ეწიენ — ჩილეში დასრულებული 29-ე მსოფლიო პირველობის მესამე ჯგუფში გაიმარჯვეს და საგაისოდ მეორე ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

გადამწყვეტი თამაში ჩვენებმა პარასკევს 15:9 მოუგეს ჰოლანდიას. ორი ლელოთი და გარდასახვით ჯეელი „ბორჯღალოსნები" 12:0 დაწინაურდნენ. მერე ჰოლანდიამ სამი გოლით სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა, მაგრამ ბოლოს ჩვენებმა იმარჯვეს და ხაჯარიძეთი გადამწყვეტი გოლი გაიტანეს.

ჩილეში ასპარეზობდა მეორე 8-გუნდა ჯგუფიც, პირველმა, 12-გუნდამ კი არგენტინაში ითამაშა. აღდგომას გამართულ საჩემპიონო ფინალში მასპინძელმა „პუმებმა" 18:12 ძლიეს ფრანგი „მამლაყინწები", თუმც კი 48-ე წუთიდან 14 კაცის ამარა ეთამაშობდნენ, რადგან კვაჭი გაუძევეს.

ფინალში ლელო არ გასულა — ყველა ქულა დარტყმებით მოგროვდა. არგენტინამ ბოლო ათი წლის მანძილზე მეშვიდედ (!) მოიპოვა ჩემპიონობა. III ადგილი დაიჭირა უელსმა, რომელმაც წინა წრეში 12:40 წააგო ფრანგებთან, მაგრამ მერე 30:17 აჯობა ირლანდიას, ვისაც ნახევარფინალში არგენტინამ 42:0 მოუგო.

V ადგილის მატჩში სამხრეთმა აფრიკამ 43:11 დაამარცხა შოტლანდია, VII ადგილისაში იტალიამ 36:23 ძლია რუმინეთი, IX ადგილისა ურუგვაიმ 14:5 მოუგო ესპანეთს, XI ადგილი კი დაიჭირა რუსეთმა, რომელმაც 25:7 აჯობა პორტუგალიას და მეორე ჯგუფში გაავდო.

## ჭადრაკი

# ყაჭეიშვილი პირველია



ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს უმაღლესი ლიგის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც ოთხი უცხოელიც მონაწილეობდა: სამი სომეხი, ერთი ირანელი.

საქართველოს 57-ე ჩემპიონატში გაიმარჯვა გიორგი ყაჭეიშვილმა, რომელიც ბევრი ჩვენი წამყვანი დიდოსტატის ტურნირში არმონაწილეობის გამო უდაო ფავორიტი იყო. იგი მეექვსე ტურიდან ერთპიროვნულად ლიდერობდა და საბოლოოდ ცხრა ქულით თერთმეტი შესაძლებლიდან პირველი ადგილიც დაიკავა.

მეორე ადგილზე 8,5 ქულით სომეხი მოჭადრაკე არტურ ჩიბუხჩიანი გავიდა, მესამეზე, 8 ქულით — როინ ხიჭინავა. ქალთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა 7-ქულიან მაია ლომინეიშვილს, რომელიც იმ ოთხს შორის მოხვდა, მე-8-მე-11 ადგილები რომ გაინაწილეს. ჩიბუხჩიანის გარდა, სხვა უცხოელთა შედეგი ასეთია — სომეხმა ვარდან გრიგორიანმა 6,5 ქულით მეცამეტე ადგილი დაიკავა, ირანელმა ხოსრო კახიამ 5,5 ქულით ოცდამეცამეტე. კიდევ ერთი სომეხი მოჭადრაკე ალექსანდრე არზუმანოვი შეჯიბრების დასაწყისშივე გამოეთიშა.

ტურნირზე გათამაშდა ერთი საგზურიც. საქმე ისაა, რომ აგვისტოში არგენტინაში ტარდება 26 წლამდე მოჭადრაკეთა გუნდური მსოფლიო პირველობა, ჩვენს გუნდში კი პირველ სამ დაფაზე ადგილები დაჯავშნილი აქვთ ყაჭეიშვილს, სიჭინავასა და ალექსანდრე დგებუაძეს. ამიტომ, ის მოჭადრაკე, რომელიც პირველ ათეულში მოხვდებოდა 26 წლამდე ასაკის მოთამაშეთაგან საუკეთესო იქნებოდა, საქართველოს ნაკრების მეოთხე წევრი გახდებოდა. ასეთი აღმოჩნდა 16 წლის გიორგი ბახტაძე, რომელმაც 7,5 ქულით მეექვსე ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ბახტაძემ 20 წლამდე მოჭადრაკეთა შორის საქართველოს პირველობა მოიგო.

4 აპრილიდან ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ქალთა პირველობა დაიწყება.

## ჰოკეი

# იაგრი ჯანზეა

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

28 მარტი. დეტროიტი — ბუფალო 2:1, ჩიკაგო — ანაჰაიმი 3:4, სან ხოსე — ედმონტონი 4:3

29 მარტი. ჰარტფორდი — რეინჯერზი 2:1, პიტსბურგი — ლოს ანჯელესი 4:1, ოტავა — მონრეალი 5:2, აილენდერზი — ბოსტონი 8:2, ვაშინგტონი — ფილადელფია 3:5, ფლორიდა — ტამპა 1:1, კოლორადო — ტორონტო 2:3, ფინიქსი — ედმონტონი 1:3, კალგარი — ვანკუვერი 2:5

30 მარტი. ნიუ ჯერზი — ლოს ანჯელესი 5:2, დეტროიტი — ანაჰაიმი 0:1, ჩიკაგო — ბუფალო 3:2, სენტ ლუისი — ფილადელფია 3:2, ვანკუვერი — დალასი 2:3

ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ ორი კვირა დარჩა, კონფერენციებში ვითარების გარკვევას კი საშველი არ დაადგა. ყველაზე უარესად აღმოსავლეთშია საქმე. მდგომარეობას სწორედ ის გუნდები ართულებენ, რომელთაც თითქოს არანაირი შანსი აღარ გააჩნდათ. უპირველესად, ეს აილენდერზზე ითქმის, ვინაც ზედიზედ სამ გამარჯვებას ზეიმობს. „დათვებს" აილენდერზელებმა 14 შაიბა შეუგდეს, რაშიც ახალშეძენილ რაიხელსა და პალფის მეორე წყვილი როლი მიუძღვით. ამ ჩეხურ-სლოვაკურმა წყვილმა 16 ქულა გააზიარა, თანაც სლოვაკმა ჰეთ-თრიკი (სეზონში მეორე) გააკეთა, რაიხელისთვის კი წინა მატჩი საუკეთესო იყო სეზონში, რაზეც 5 (2+3) ქულაც მეტყველებს. „კუნძულელებს" ასევე ჩამოწერილმა ოტაველებმაც აუბეს მხარი. „სენატორზი" უშუალო კონკურენტის — მონრეალის დამარცხების შემდეგ მერვე ადგილზე მყოფ ჰარტფორდს ქულით ჩამორჩება. „სენატორთაგან" კვლავ გამოირჩა გუნდის ლიდერი იაშინი (1+2), რომელმაც კლუბის რეკორდი 33 გატანილ გოლამდე გაზარდა.

ერთბაშად ორი სუპერვარსკვლავი დაუბრუნდა ყინულს. ტრავმის შემდეგ პიტსბურგელი იაგრის დაბრუნებას ამ სეზონში აღარავინ ელოდა, რადგან ფორვარდი ტრავმებმა შეაწუხა, მაგრამ გამოჯანსაღებული ჩეხი მალე შეუერთდა თავისიანებს. იაგრის გამოჩენამ მისი პარტნიორებიც გაამხნევა, უფრო სანიკეთოდ კი მასთან შემხანაგებულ ლემიესა და ფრენსისზე იმოქმედა. ამ სამეულმა, რომელმაც წლეულს 116 შაიბა შეაგდო (საუკეთესო შედეგი სამეულთა შორის), სამი გოლი მოამზადა. ამჯერად ფრენსისი გამოირჩა, რომელმაც შეგდებული ორი შაიბით 400-გოლიანი ზღვარი გადალახა, მისმა პარტნიორებმა კი ორ-ორი პასი მიითვალეს. მარიო ლემიე 875 გადაცემით მე-11 გახდა ნჰლ-ის ისტორიაში, მან თვით ფილ ესპოზიტოს გაუსწრო.

არც ფილადელფიელი ლინდროსი ათამაშეა ურიგოდ მცირე ტრავმის მოშუშების შემდეგ. ორ შეხვედრაში ერიკმა სამი გოლი გაახურა. პირველ მატჩში ვაშინგტონთან ლინდროსის წარმატებას მისი მუდმივი პარტნიორების — ლეკლერისა და რენბერგის თითო-თითო შაიბაც დაემატა. საინტერესოა, რომ ეს სამეული შედეგიანობით მესამეა ლიგაში — 101 გოლი.

ერთბაშად ორმა გუნდმა გაიფორმა ფლეი-ოფის საგზური. ფლორიდელმა „პანტერებმა" საგზური ჯერ კიდევ ოთხშაბათს იგდეს ხელთ, როცა მათმა მტევარმა ვაშინგტონმა ჩიკაგოში წააგო. კოლორადოსთან გამარჯვებით ფორთაშესხმული დეტროიტელები კი ბუფალოს შეერკინენ და დამატებით დროში წარმატებას მიაღწიეს. მატჩის გმირი „წითელფრთიანთა" კაპიტანი აიზერმანი გახდა, რომელმაც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გოლი მიითვალა და კარიერაში მე-800 პასი გააკეთა, რაც მანამდე ლიგის მხოლოდ 17-მა მოთამაშემ შეძლო. გადამწყვეტი შაიბა ექსტორონტოელმა მიროვმა შეაგდო.

## ავტოსპორტი

**ფორმულა 1**
II ეტაპი
ბრაზილიის გრან-პრი

# გერჰარდ ბერგერს ტყუილად ეგონა

კანადელი ჟაკ ვილნევის ტრიუმფით — გამარჯვებით, პოულით, უსწრაფესი წრე — დასრულდა ბრაზილიის „დიდი პრიზის" გუშინწინდელი გათამაშება. საშწლიანი შესვენების შემდეგ მოწინავეთა შორის კვლავ გამოჩნდა ალენ პროსტი, ოღონდ ამჯერად გუნდის მეპატრონის რანგში. მისმა ფრანგმა პილოტმა ოლივიე პანიმ მესამე ადგილი დაიკავა. ეს საბურავების მკეთებელი იაპონური ფირმის „ბრიჯსტოუნის" პირველი წარმატებაცაა.

პარასკევს ვარჯიშზე „უილიამსის" უპირატესობა სრული იყო. მხოლოდ ამ გუნდის პილოტებმა განვლეს წრე წუთსა და 18 წამზე ნაკლებ დროში. ამჯერად ფრენცენი უფრო სწრაფი გახლდათ — 1.17.506, ვილნევის შედეგი კი 1.17.829 იყო. ამ წყვილს სხვათაგან უფრო ფრანგი ალეზი (ბენეტონ-რენო) მიუახლოვდა — 1.18.000. საუკეთესო ათეულში მოხვდა ჩემპიონი დეიმონ ჰილი (ეროუზ-იამაჰა) — 1.18.978. ჩემპიონატის დებიუტანტი რალფ შუმახერი (ჯორდან-პეჟო) კი მეექვსე იყო — 1.18.479 და თავის სახელოვან ძმას 0,009 წამით აჯობა.

ვარჯიშის შედეგებმა დეიმონ ჰილს იმის იმედი ჩაუსახა, რომ კვალიფიკაციასაც და რბოლასაც კარგად ჩაატარებდა. განაცხადა კიდეც ინტერვიუში: „ათეულში მოხვედრა კარგი შედეგია, ჩვენ საკმაოდ კონკურენტუნარიანნი ვართ და იმედი მაქვს, რომ კვალიფიკაციასაც ათეულის საკმარისი შედეგით დავასრულებთ და კარგადაც ვირბოლებთ. ფრენცენი კმაყოფილი იყო შედეგით, თუმცა მაინც ფრთხილობდა — მართალია, დღეს ვილნევზე წინ აღვმოჩნდი და ეს კარგი გრძნობაა, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ვარჯიში იყო."

გერმანელის სიფრთხილე უსაფუძვლო არ გამოდგა. შაბათს კვალიფიკაციაზე ვილნევმა საწყის 8 წუთშივე შეძლო საუკეთესო შედეგის (1.16.004) მიღწევა, რომელიც ვერავინ გააუმჯობესა. მეორე, 0.59-ით უარესი შედეგი შუმახერისა იყო. ჰილი მე-9 იყო — 1.17.090. პირველი ეტაპის გამარჯვებული კულთარდი (მაკლარენ-მერსედესი), რომელიც 27 მარტს 26 წლისა გახდა, მანქანის უწესრიგობას უჩიოდა და 12-ე ადგილზე გავიდა. სესიის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ფიზიკელას (ჯორდან-პეჟო) ავარიამ შეჯიბრი 10 წუთით შეწყვიტა, განახლების შემდეგ კი არაფერი შეცვლილა.

კვალიფიკაციის შედეგები: ვილნევი (უილიამს-რენო) 1.16.004; მიხაელ შუმახერი (ფერარი) 1.16.594; ბერგერი (ბენეტონ-რენო) 1.16.664; ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 1.16.692; პანი (პროსტ-მუგენ-ჰონდა) 1.16.756; ალეზი (ბენეტონ-რენო) 1.16.924; ჰილი (ეროუზ-იამაჰა) 1.17.090; რალფ შუმახერი (ჯორდან-პეჟო) 1.17.175; ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) 1.17.259; კულთარდი (მაკლარენ-მერსედესი) 1.17.262; ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი) 1.17.409; ირვაინი (ფერარი) 1.17.527; ნაკანო (პროსტ-მუგენ-ჰონდა) 1.17.999; დინიცი (ეროუზ-იამაჰა) 1.18.095; ტრული (მინარდი-ჰარტი) 1.18.336; კატაიამა (მინარდი-ჰარტი) 1.18.557; ლარინი (ზაუბერ-ფერარი) 1.18.644; მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) 1.18.773; ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი) 1.18.885, სალო (ტირელ-ფორდი) 1.19.274.

კვირას რბოლა ინციდენტით დაიწყო. პირველი სასტარტო პოზიციიდან დაძრულმა ვილნევმა გვერდით უფროსი შუმახერი დალანდა, რომელიც პირველ მოსახვევში უკეთესი ტრაექტორიით შესვლას ცდილობდა. კანადელს მოსახვევის უარესად გავლამ მოუწია, ტრასას ასცდა და უსაფრთხოების ზონის გავლით კვლავ უკან დაბრუნდა. ამავე მოსახვევში ფიზიკელამ ვერ დაიმორჩილა თავისი ჯორდანი და შუა ტრასაზე გაიჩხირა. მის უკან მავალი ფრენცენი ვილნევის გზას მიჰყვა, ბარიჩელო და ჰილი კი ჯორდანს წამოედნენ. სტარტის ხწორის ყველაზე სწრაფ მონაკვეთზე მაგნუსენის სტიუარტ-ფორდი გამოჩნდა. რბოლა შეწყდა

და, ოციოდე წუთის შემდეგ კვლავ დაიწყო. [illegible] (მეორე სასტარტო პოზიცია) პირველი [illegible]

რველ მოსახვევში, მაგრამ ვილნევმა პირველსავე წრეზე დაიბრუნა პირველობა და რბოლის სიუჟეტის კარნახიც თავად დაიწყო. შუმახერი ლიდერს 3 წამით ჩამორჩებოდა, მას კი ბერგერი და ჰაკინენი უტევდნენ. მე-12 წრეზე ბერგერმა გერმანელის გასწრება მოახერხა და ვილნევს ჩაუდგა კვალში.

პიტ-სტოპების სერია 22-ე წრეზე ბერგერმა დაიწყო და დაბრუნების შემდეგ წრეზე საუკეთესო დროის — 1.18.633 ჩვენების მიუხედავად, მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა. 34 წრის შემდეგ ვილნევმაც შეიცვალა საბურავები და ტრასაზე დაბრუნების შემდეგ მანაც საუკეთესო დრო აჩვენა — 1.18.397. 30 წრის შემდეგ კვლავ ვილნევი ლიდერობდა, მას პანი და ბერგერი მისდევდნენ, მეოთხე ჰილი იყო.

ვილნევმა პირველობა მხოლოდ მეორე პიტ-სტოპისას (8,6 წმ) დაკარგა, მაგრამ რამდენიმე წრის გავლის შემდეგ ბერგერიც შევიდა ბოქსებში (9,0 წმ) და პირველობა კვლავ კანადელს დარჩა.

რბოლის დამთავრებამდე 16 წრით ადრე ვილნევსა და ბერგერს შორის სხვაობა 8.06. ორი წრის შემდეგ კი ავსტრიელმა ეჭვს წამამდე შეამცირა. შემდგომში სხვაობა 4-6 წამს შორის მერყეობდა, საბოლოოდ კი კანადელმა 4,1 წამით აჯობა გამოცდილ მეტოქეს.

68-ე წუთზე დეიმონ ჰილის ბოლიდს ცეცხლი გაუჩნდა. ჩემპიონი ბოქსებში შევიდა და რბოლას გამოეთიშა.

რბოლის შემდეგ, პრეს-კონფერენციაზე, ბერგერმა განაცხადა, ერთ მომენტში იმედი მომეცა, რომ ვილნევს დავეწეოდი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რა რთულია მისი გასწრება, რადგან იგი ძალიან სწრაფია.

გამარჯვებულმაც დაფასა მეტოქე და თქვა, რბოლის ბოლოს ბერგერი ოდნავ უფრო სწრაფი იყო. ისიც დასძინა, გამარჯვება მშვენიერი გრძნობაა მას შემდეგ, რაც მელბურნში შემემთხვა, დღეს კი ჩემი ბოლიდი შესანიშნავად იყო მომზადებული.

მომდევნო, მესამე ეტაპი, 13 აპრილს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში გაიმართება.

**ალეკო ბაბუძიანი**

| 30 მარტი. სან პაულუ „ინტერლაგოსი" | |
|---|---|
| **დისტანცია 72 წრე — 311,400 კმ** | |
| 1. ვილნევი (უილიამს-რენო) | 1:36.06,990 10 ქულა |
| 2. ბერგერი (ბენეტონ-რენო) | 1:36.11,180 6 ქულა |
| 3. პანი (პროსტ-მუგენ-ჰონდა) | 1:36.22,860 4 ქულა |
| 4. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) | 1:36.40,023 3 ქულა |
| 5. მიხაელ შუმახერი (ფერარი) | 1:36.40,721 2 ქულა |
| 6. ალეზი (ბენეტონ-რენო) | 1:36.41,010 1 ქულა |
| 7. ჰერბერტი (ზაუბერი) | 1:36.57,902 |
| 8. ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო) | 1:37.07,629 |
| 9. ფრენცენი (უილიამს-რენო) | 1:37.22,392 |
| 10. კულთარდი (მაკლარენ-მერსედესი) | 1 წრით |
| 11. ლარინი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 12. ტრული (მინარდი-ჰარტი) | 1 წრით |
| 13. სალო (ტირელ-ფორდი) | 1 წრით |
| 14. ნაკანო (პროსტ-მუგენ-ჰონდა) | 1 წრით |
| 15. ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი) | 2 წრით |
| 16. ირვაინი (ფერარი) | 2 წრით |
| 17. ჰილი (ეროუზ-იამაჰა) | 4 წრით |
| 18. კატაიამა (მინარდი-ჰარტი) | 5 წრით |
| **საუკეთესო წრე: ვილნევი 1.18.397** | |
| **რბოლას გამოეთიშნენ:** | |
| რალფ შუმახერი (ჯორდან პეჟო) | 52 წრე |
| ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) | 16 წრე |
| დინიცი (ეროუზ-იამაჰა) | 15 წრე |
| მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) | სტარტი არ აუღია |

**პირადი პირველობა:**

1. კულთარდი (მაკლარენ-მერსედესი) — 10 ქულა; 2. ვილნევი (უილიამს-რენო) — 10; 3. ბერგერი (ბენეტონ-რენო) — 9; 4. მიხაელ შუმახერი (ფერარი) — 8; 5. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) — 7; 6. პანი (პროსტ-მუგენ-ჰონდა) — 6; 7. ლარინი (ზაუბერი) — 1; 8. ალეზი (ბენეტონ-რენო) — 1

**გუნდური პირველობა:**

1. მაკლარენ-მერსედესი 17 ქულა; 2. უილიამს-რენო 10; 3. ბენეტონ-რენო 10; 4. ფერარი 8; 5. პროსტ-მუგენ-ჰონდა 6; 6. ზაუბერი 1

# ჩოგბურთი

# მუსტერი და ჰინგისი



გასეირნებასავით ფინალამდე ჰინგისს იმდენი ფიცხელი ბრძოლა გადახდა, რომ ნორჩი ქალი მსაჯებს საკმაოდ ედავა

ასოშიეითიდ პრესი კი-ბისკეინიდან

## სამართლმა პური ჭამა

რვა წლის წინ თომას მუსტერმა კი-ბისკეინის ნახევარფინალში ფრანგი იანიკ ნოა რომ დაამარცხა, სენდვიჩის საყიდლად ჯიხურისკენ აიღო გეზი, მაგრამ გზად ვიღაც ნასვამმა მანქანა დააჯახა და მარცხენა ფეხი მოტეხა. ამით ავსტრიელის კარიერა კინაღამ დასრულდა, მაგრამ თომასი ბედად მოკეთდა და 1995 წელს საფრანგეთის ღია პირველობაც კი მოიგო.

მუსტერმა მთვრალს სასამართლოში უჩივლა და 700 ათასი დოლარი აზღვევინა, მარცხენა მუხლი კი სამუდამოდ დაუსუსტდა, მაგრამ თიხაზე მაინც მაგრად თამაშობს და დღემდე 40 ტიტული მოუგია.

წელს ცაცია თომასი ხისტ კორტებსაც გაუშინაურდა, რაკი ამერიკის მედიის კრიტიკა ყელში ამოუვიდა. „ლიპტონის" სტარტზე შედეგიც კარგი ჰქონდა — 18 მოგება და სამად-სამი მარცხი, ისიც იმათთან, ვინც მერე და მერე ტურნირი მოიგო. თავად მუსტერმა თებერვალში დუბაის ფინალში ივანიშევიჩი დაამარცხა.

ნახევარფინალში მუსტერმა წელს უკვე მესამედ ძლია ფლორიდელი კურიე, მეორე თამაშში კი სენსაცია მოხდა. მუსტერივით თიხის ოსტატმა ბრუგერამ, ორჯერ რომ ყოფილა საფრანგეთის ჩემპიონი, ამჟამად კი 35-ე ჩოგანია, მაიქლ ჩანგის (აშშ, 3) დამარცხების შემდეგ პირველ ჩოგან სამპრასსაც მოუგო მისსავე საყვარელ საფარზე. ესპანელმა ამერიკელს ხელუკულმა დარტყმებით 17 ქულა ჩაუგდო, გარდატეხა კი კრიტიკულ მომენტში — თაი-ბრეიქის დროს მოახერხა. ამის შედეგად ფინალი ევროპელთა საშინაო საქმედ იქცა. არადა, ბოლო 7 წლის მანძილზე ჩემპიონები ამერიკელები ხდებოდნენ.

სამპრასს, ეტყობა, აწყინა ორდღიანმა უქმობამ. მისი სამეოთხედფინალო მეტოქე, 22 წლის ჰენდრიკ დრიკმანი (გერმანია) ოტელიდან ბინდ-ბუნდში გავიდა, ოღრო-ჩოღრო ასფალტზე (?!) კოჭი იღრძო და თამაში ველარ შეძლო. იმ ეტაპზე დიდი ჯაფა არც სერჩის დადგომია, რადგან უკრაინელ ანდრეი მედვედევს ერთხანს 6:0, 5:0 უგებდა.



ბრუგერას სამპრასის ძლევა უხარია

როიტერი კი-ბისკეინიდან

ფინალი სამი ხელის მოგებამდე იყო. პირველში ერთი ბრეიქ-პოინტი რაა, ისიც არ აღნუსხულა. თაი-ბრეიქში ბრუგერამ, ვისაც ტურნირი აქამდე არც ამერიკაში მოეგო და არც აპრილამდე, ორი სეტ-პოინტი გაანიავა და გატყდა. 29 წლის მუსტერმა პონორარად 360 ათასი მიითვალა და „ლიპტონის" უხუცესი ჩემპიონიც შეიქნა. ბრუგერას მონაგარმა 190 ათასი შეადგინა, გუშინდლიდან კი კლასიფიკაციაში მე-20 ადგილამდე აღზევდა.

კი-ბისკეინი (ფლორიდა, აშშ)

### ლიპტონის ჩემპიონატი

**ქალები**

ფინალი. 29. 03: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 1) — მონიკა სელეში (აშშ, 4) 6:2, 6:1

წყვილთა ფინალი. 30. 03: ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) და არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — საბინე აპელმანსი (ბელგია) და მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:2, 6:3

**ვაჟები**

ნახევარფინალები. 28. 03: სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — პიტ სამპრასი (აშშ, 1) 5:7, 7:6 (7-2), 6:4; თომას მუსტერი (ავსტრია, 2) — ჯიმ კურიე (აშშ) 6:3, 6:4

ფინალი. 30. 03: მუსტერი — ბრუგერა 7:6 (8-6), 6:3, 6:1

წყვილთა ფინალი. 29. 03: თოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (ორივე ავსტრალია) — მარკ ნოულზი (ბაჰამები) და დანიელ ნესტორი (კანადა) 7:6 (8-6), 7:6 (10-8)

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

მონიკა სელეში წინათ სხვებს ანგრევდა, ამჯერად კი თავად იგი დაანგრიეს. ნოემბერში, ოქლენდში (კალიფორნია) ჰინგისთან 2:6, 0:6 წაგებული ფინალისა არ იყოს, წელს პირველად მოასპარეზე სელეშმა „ლიპტონის" ფინალიც სამარცხვინოდ — სულ რაღაც 44 წუთში წააგო იმავე მარტინასთან, რომელსაც წელს გამართული 26-ვე მატჩი აქვს მოგებული.

ჰინგისზე 10 სანტიმეტრით მაღალი სელეში ნახევარფინალში 51 წუთში გაუსწორდა ავსტრიელ პაულუსს, ამჯერად კი 2:3-მდე გაძლო. მომდევნო ოთხ გეიმში ორად-ორი ქულა გაახერხა და პირველი ხელიც 19 წუთში ჩამთავრდა.

საქმე მოთავეუბლი იყო. გამარჯვებულმა ბრძანა, ისე სრულყოფილად ვითამაშე, რომ შეცდომა თითქმის არ მომსვლიაო, 12 ათას მაყურებელს კი, რომელთაც მინიმუმ 40 დოლარი გადაეხადათ ბილეთში, მოუბოდიშა, ვწუხვარ, სეირი აგრე რომ შეგიმოკლეთო.

ჰინგისს 215 ათასი ერგო, სელეშს — 107 500. შარშან მარტინამ „ლიპტონის" პირველ წრეში 6:0, 2:6, 2:6 წააგო სანჩეს-ვიკარიოსთან. მასვე გადაეყარა წყვილთა ნახევარფინალში, ვაჟთა ნახევარფინალების დღეს რომ გაიმართა და კვლავ წააგო, ამჯერად მერი-ჯო ფერნანდესთან (აშშ) შეამხანაგებულმა 4:6, 6:1, 6:7 (6-8). მერე, კვირას, სანჩესმა და ზვერევამ ფინალიც მოიგეს.

ჰინგისს კი-ბისკეინში ოდენ რომ ეთამაშა, კლასიფიკაციის კენწეროდან მაინც ჩამოაბრძანებდა მუხლმტკივან შტეფი გრაფს (გერმანია), რომელსაც ერთი წლის წინ აშშ-ში მოგებული ორივე ტურნირის ქულები გამოექვითა. 16 წლის მარტინა ამგვარად შეიქნა ქალთა ჩოგბურთის მეშვიდე და უმრწემესი დედოფალი — ევერტის, ნავრატილოვას, ოსტინის, გრაფის, სელეშისა და სანჩეს-ვიკარიოს კვალად.

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

დღეს, სამშაბათს, 1 აპრილს

12.30 ციგურაობა: შორტ-ტრეკის მსოფლიო პირველობა ნაგანოდან (იაპონია); 14.00 ჭერქვეშა ველოკროსი; 15.00 ცოცვა: პარიზიდან; 16.00 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო-გოლები"; 17.00 ავტორბოლა: ნასკარი. ვინსთონის თასი. დარლინგთონიდან (აშშ); 18.00 ზეკაცთა სამჭიდი (ტრიათლონი): ევროპის ზამთრის თასი. იტალიიდან; 18.30 სნოუბორდი: თოვლის სეირი. ინსბრუკიდან; 19.00 ძაღლებშებმულ მარხილთა დოღი: კანადა — ალასკა; 20.30 გიჟმაჟობა. კალიფორნიიდან; 21.30 საბრძოლო ხელოვნება: „შაოლინელი ბერები ლონდონში"; 22.30 სამოტოციკლო ჟურნალი „თვლები"; 23.00 ტრაქტორრობანა: ევროპის თასი; 24.00 სალლაბუცო ჟურნალი „სრბოლა"; 1.00 კრივი: მსუბუქი წონა. ბ. ვარტელი — პ. გაბიტუსი, მძიმე წონა. პ. უივე — რ. კენედი. მარსელიდან (პ); 3.00 კალათბურთი: ევროპის ლიგის ფინალური ოთხეული. ნეაპოლიდან; 4.30 „ოთხი ბორბალი": ლაშქრობა დას. ავსტრალიაში (5.30-მდე)

ხვალ, ოთხშაბათს, 2 აპრილს

12.30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: სტრასბური — კარლსრუე; 14.00 გიჟმაჟობა (-); 15.00 ძაღლ-მარხილთა დოღი: სავოიის თასი. საფრანგეთიდან; 15.30 სნოუბორდი: მსოფლიო პირველობა. სან-კანდიდოდან (იტალია); 16.00 კრივი: „ამოფრქვევა ბევერლი-ჰილზში"; ბ. პარისი — პ. ანისი; 17.00 „თვლები" (-); 17.30 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ"; 18.00 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ"; 18.30 „სრბოლა" (-); 19.30 ფათერაკები. ლესოთოდან და სამხ. აფრიკიდან; 20.30 გიჟმაჟობა (-); 21.30 ცაში ლივლივი; 22.00 ფაეტონებით რბოლა. აშშ-დან; 22.30 ავტოჟურნალი „ძრავები"; 24.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები; 1.00 ფეხბურთი: ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი — შვედეთი (პ); 3.00 ფეხბურთი: შესარჩევი მატჩები; 4.30 ჩოგბურთი: ატპ-ის ტური (მ); 5.00 ფათერაკები: ბერინგის სრუტის დაფით გადაცურვა (5.30-მდე)

დღეს, სამშაბათს, 1 აპრილს

9.00 ფორმულა-1: ბრაზილიის დიდი პრიზი; 11.00 გოლფი: აშშ-ის ტური (მ); 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 12.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი (III ტესტი, IV დღე) (რ); 13.30 კალათბურთი: აშშ-ის ვაჟ სტუდენტთა პირველობა; 15.30 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი; 16.30 ბადმინტონი: შვეიცარიის ღია პირველობა (ფ); 19.30 გოლფი: ევროპის ტური. მადეირას ღია პირველობა (რ); 20.30 კრიკეტი (-); 21.30 კრიკეტი: სამხ. აფრიკა — ავსტრალია (II თითოდღიანი); 22.30 მსოფლიო რაგბი; 0.30 კალათბურთი: პილტონის ჩინური ლიგა; 1.30 აზიური ფეხბურთი (მ); 2.30 ბადმინტონი (-); 5.30 (?); 6.30 კრიკეტი (-; V დღე) (რ)

ხვალ, ოთხშაბათს, 2 აპრილს

7.30 მსოფლიო სპორტი (მ); 8.30 (?); 9.30 კალათბურთი (-); 10.30 ცხენოსნობა (-); 11.30 გოლფი: აშშ-ის ტური. ბეი-ჰილის ნვეული (ბოლო დღე); 13.30 აზიური სპორტი (მ); 14.00 მსოფლიო რაგბი; 16.00 კრიკეტი: სამხ. აფრიკა — ავსტრალია (II); 17.00 კრიკეტი (-) (III) (პ); 1.30 ცხენოსნობა (-); 2.30 ფორმულა-1: ბრაზილია (-); 5.00 (?); 5.30 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 6.30 კრიკეტი (-)

ზეგ, ხუთშაბათს, 3 აპრილს, შუადღემდე

7.30 გოლფი. მადეირა (-); 8.30 (?); 9.30 აზიური ფეხბურთი (მ); 10.30 კრიკეტი: შარჯას თასი. ზიმბაბვე — შრილანკა (პ)

(-) იგივე; (?) ექსპრომტად; (ა) ახალი ამბები; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული; (ფ) ფინალი

# დოღი

## შეიხის სიტყვა კანონია

არაბთა გაერთიანებული საამიროების უფლისწული — შეიხი მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მახთუმი ფრიადი ცხენოსანია. შარშანდლიდან მოყოლებული დუბაიში დოღის ნაღდ „მსოფლიო თასსაც" მართავს — დუნიის ყველა კუთხიდან საუკეთესო ცხენებს შეკრებს ხოლმე. წელს ჯილდოდ გულუხვ შეიხს 4 მილიონი ამერიკული დოლარი დაეწესებინა, რომელთაგან 2,4 მილიონი ვეება ოქროს თასთან ერთად გამარჯვებულ მხედარს უნდა რგებოდა.

მილ-მეოთხედიანი დოღი შაბათ საღამოსთვის იყო დანიშნული, მაგრამ ზეგ, იმავ დროისთვის გადაიდო. მიზეზი უცნაურზე უცნაურია: ადამიანმა ბევრგან ბუნება თუ გაპარტახა, საამიროების უდაბნოში იმდენი ბალახი ახარა, რომ ჰავა გააკეთილშობილა. ბოლო წლებია, დუბაიში საკმაოდა წვიმს, წინა კვირაში კი თავსხმა ჯერ სამშაბათს მოვიდა, მერე კი დოღის დილითაც.

პირველი წვიმის შემდეგ ნადალშებას ქვიშიანი იპოდრომი გასაშრობად ორი დღით დაიხურა. ამის გამო მხედრებმა ბედაურები კარგად ვერ ავარჯიშეს. დასი კი მართლაც შესანიშნავი შეიკრიბა: 13 ცხენი, რომელთაგან ფავორიტებად სამ ამერიკელს — საიფონს, სენდფითსა და ფორმალ-გოულდს მიიჩნევდნენ.

შარშანაც ამერიკელმა გაიმარჯვა — აწ უკვე ლეგენდარულმა სიგარმა, რომელიც წელს პენსიაზე გაუშვეს. საიფონი და სენდფითი ბრაზილიაში არიან დაბადებული, მაგრამ მათ ახლა კალიფორნიაში წვრთნის ვინმე რიჩარდ მანდელა. თავად შეიხის ჯილა ფლიმენსფირსი ყოფილა.

შაბათ დილით ისე იწვიმა, რომ სარბიელი დაიტბორა. ელი ლელუშის ნაზარდი ელისიო, ევროპელთა მთავარი იმედი რომ იყო, დუბაიდან უკვე შინ — საფრანგეთს გააგზავნეს. ლელუში თავიდანვე აცხადებდა, თუ იწვიმებს, ჩემი რაში არ ირბენსო.

რაკი შეიხი ჭეშმარიტი ვაჟკაცია და ცხენის ყადრი კარგად იცის, ლაფს არ მოერიდა და ასპარეზი თავად გასინჯა. მერე დაადგინა, ცხენებს დასამტვრევად ვერ გავიმეტებო და დოღის გადადება ბრძანა.

# კრივი



## მილიონები მცონარობის წილ

სულ მთლად წამხდარა მაიქლ მორერი. მართალია, კაცი ჯერაც მსოფლიო ჩემპიონია და იმასაც ამბობენ, ჰოლიფილდ — ტაისონის 3 მაისისეულ შებმაში გამარჯვებულს მერე და მერე ვერსიათა შემაჭერებელ საჩემპიონო ბრძოლაში სწორედ ის შეერკინებაო, მაგრამ თავად მოკრივეს ჩხუბის წყურვილი რაღაც არ ეტყობა.

ამის ნათელი დასტური შაბათს, ლას-ვეგასის (ნევადა, აშშ) „ჰილტონში" გამართული საკრივო შოუს უმთავრესი ნომერი იყო — საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) საჩემპიონო, 12-რაუნდა შერკინება, რომელშიც დეტროიტელი მორერი სარტყელს ვინმე ჩიკაგოელი ვოგან ბინის ხელყოფისაგან იცავდა.

ის საღამოს 8 ათასმა მაყურებელმა ერთობ მოიწყინა. „ანდერქარდ" (გასახურებელი) ბრძოლებიც უღიმღამო გამოვიდა, სეირის თვალის შუაწელში კი ხალხმა სტვენა ატეხა. შერკინების დასრულებასაც მოასპარეზეთათვის ქოქოლას დაყრა მოყვა.

არ აღნუსხულა არცერთი ნოკდაუნი. ცაცია მორერმა ერთობ დინჯად დაიწყო და ასევე დაასრულა. მარჯვენა ჯები პირველად III რაუნდშიღა სცადა, მეტოქის წაქცევა კი არც უცდია. არც ჩხუბის შემდეგ შეუხრია წარბი. განაცხადა, ვიცოდი, რომ ვიგებდი და იმდენად გავიხარჯე, რამდენიც გასამარჯვებლად იკმარებდაო.

ბევრს ეცადა მორერის მწვრთნელი თედი ატლასი, მაგრამ შეგირდი მაინც ვერ გაახელა. აგინა, არაფერი გამოუვიდა. X რაუნდის შემდეგ მოატყუა, აგებ და ოდენ ნოკაუტი გიშველისო. ვერც ამან გაჭრა. ატლასს ჩაუფლავდა ადრინდელი ხრიკიც: გაგანია ჩხუბში მობილური ტელეფონი დააძრო და ვითომც მორერის ვაჟს დაერეკოს, მოკრივეს შეუძახა, შენი ბიჭი ტირის, მამაჩემს ჩემპიონობა მოყირჭებიაო.

ორმა მთვლელმა მორერს 116-113 და 115-113 გაამარჯვებინა, მესამემ კი ფრე 114-114 აღნუსხა. მორერმა ზლაზვნის ფასად 3,6 მილიონი დოლარი მაინც მიიღო და კარიერის ბალანსი 39 მოგება და 1 წაგება გაუხდა. მაიქლი იმ ერთხელ ბებერმა ჯორჯ ფორმენმა დასცა ერთი სასწაული დარტყმით!

ბინი 28-ე ბრძოლაში პირველად დამარცხდა, რაკი აქამდე თავისზე უარეს სიაფანდებს ერკინებოდა. გასამრჯელოდ 500 ათასი მაინც ერგო, რაც მისთვის ურიგო ფული არ უნდა იყოს. შერკინებისთვისაც დიდი ჯო ფრეზერი ამზადებდა.

ასოშიეითიდ პრესის ფოტოზე: ხოტორა მორერმა II რაუნდში მოსდო ბინს

# ნიჩბოსნობა

## 74-68

დიდ სპორტში მოყვარულობის უკანასკნელი ბურჯი მსოფლიოს უცნობილესი „ბოუთ რეისია". აი, შაბათსაც, ეს უკვე 143-ედ გაიმართა ქემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების რვიანთა შეჯიბრი, რომელმაც მდინარე თემზის ნაპირებზე დაახლოებით 100 ათას მოსეირეს მოუყარა თავი.

დისტანცია ტრადიციული, 4-მილ-ნახევრიანი იყო — ფათნიდან მორთლეიქამდე. ქემბრიჯს ბოლო ოთხ წელს ზედიზედ გაემარჯვა და ამჯერადაც ფავორიტად მიიჩნეოდა. ერთი კვირით ადრე „ბაც ლურჯთა" დიაცებსაც ეჯოჩალათ და „მუქ ლურჯთა" (ოქსფორდის) რვიანი დაემარცხებინათ.

ქემბრიჯის მწვრთნელ რობინ ვილიამსს გუნდში ჩაერიცხა თითო კანადელი და ამერიკელი. ოქსფორდს არა მარტო ჩაესიძებინა იტალიელი და ხორვატი, არამედ მწვრთნელად დაენიშნა რენე მეინდერსი, ვინაც მშობლიურ ჰოლანდიას ატლანტის ოლიმპიადაზე გაამარჯვებინა რვიანთა შეჯიბრში.

აქვე ვთქვათ: „ბოუთ რეისი" გამორჩეულია არა მარტო ტრადიციით, არა იმითაც, რომ ჩვეულებრივი ნიჩბოსნობისგან განსხვავებით ერთმანეთს ოდენ ორი ნავი ეჯიბრება, ამასთან დისტანციაც ოლიმპიურზე ორჯერ გრძელია.

წილისყრა ოქსფორდმა მოიგო და უკეთესი სასტარტო პოზიცია აირჩია. მეინდერსის შეგირდებმა მაგრად შეუბერეს და დიდი ხნის მანძილზე საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ „მუქები" ბოლოსდაბოლოს გატეხდნენ ნავსს და მოიგებდნენ, მაგრამ ფინიში რომ მოახლოვდა, ქემბრიჯის ეკიპაჟმა ტემპს სასწაულად უმატა და საბოლოოდ 6 წამით აჯობა მეტოქეს.

ამის შემდეგ ჯამურ ანგარიშში ქემბრიჯი მეტად დაწინაურდა 74-68 (ერთიც ფრე — 1877 წლის 24 მარტს!)

ამ შაბათს ბრიტანელებს კიდევ ერთი ტრადიციული გასართობი ელით — მთელს მსოფლიოში ცნობილი „დიდი ეროვნული" ანუ ლივერპულის წინაღობებიანი დოღი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29